საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 13 სექტემბერი, 2013 წელი.

№175 (7302)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

საქმის სათავეში აღზრდილია საჭირო და არა აღსაზრდელი!

ფიქრები საზოგადოების მიერ სახელმწიფოს მართვის ივანიშვილისეულ იდეასთან დაკავშირებით 3

ვინ მფარველობს მიხეილ სააკაშვილს?..

6

გამკაცრებული სასჯელი ყველაზე დაფარული დანაშაულისათვის

აქა ამბავი როტარი კლუბისა და კიდევ ბევრი სხვა რამ... 7

ყოფილი ხელისუფლების დევიზი — დახმარებები პოლიტიკური ნიშნით 11

დღის კარიკატურა



დღის ამფრაზურიდან

ორი დიალოგი თბილისის მეტროში

— კაცი დავბერდი, მაგრამ კიდევ ბევრი რამ არ მესმის. უფრო სწორად, ვერ ვხვდები, რა ხდება?

— მაინც რაზე ამბობ მაგას?

— რაზე ვამბობ და, იანვარში წასასვლელი ათასი ოხრობის ჩამდენი სააკაშვილი ჯერაც არ წასულა და, მგონი, ღრუბელ-ღრუბელ თუ მწვერვალ-მწვერვალ სულაც ისევ უკან აპირებს მოსვლას, ეს ივანიშვილი კი ჯერ წესიერად არ მოსულა და უკვე მიდის, პოლიტიკას ვერ ვიტანო. ეგ დალოცვილი რომ მოდიოდა, აბა, სად მოდიოდა, არ იცოდა?!

— რაღაც ჭადრაკის თამაშსა ჰგავს მაგათი ამბავი.

— რასა ჰგავს, ვერ გეტყვი, მაგრამ ჩვენი საქმე ჭადრაკულად რომ არის, ცხადია.

* * *

— ეს ნაციონალები ნამდვილად გამაგიჟებენ!

— მაგათ უკვე დიდი ხანია, რაც ჭკუიდან გადაგვიყვანეს.

— მაგ დამნაშავე ბაქრაძეს დამნაშავე საკაშვილთან ერთად კბილაშვილი უნდა ჰკითხავდეს, ეგ კი საპრეზიდენტო ჩოხას იზომავს, ვითომ მამა აბრამის ბატკანი მყავდეს.

— მაგის ბატკნობისა რა გითხრა, მაგრამ იცი, რას მაგონებს ამ წინასაარჩევნოდ?

— რას გაგონებს?

— რას და, კიდევ ერთ ქმართან გაყრილ ბოზს ქალს კიდევ ერთხელ რომ უნდა გათხოვება და თავს ქალწულად ასაღებს...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ პრემიერ-მინისტრი

„ჩვენ პრეზიდენტის ამორალურობას ვიტანთ, ის კი ამით სარგებლობს“

პრემიერ-მინისტრს პრეზიდენტის მიერ ძვირადღირებული ვერტმფრენებით სარგებლობა საქართველოში არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით ამორალურ საქციელად მიაჩნია. როგორც ბიძინა ივანიშვილმა ფრანგული ვერტმფრენების საკითხის კომენტირებისას აღნიშნა, მიხეილ სააკაშვილს ორი ვერტმფრენი უკვე ემსახურება და მისთვის გაუგებარია, რატომ ჰქონდა კიდევ სამი შეკვეთილი საკუთარი სარგებლობისთვის.

— ერთი ვერტმფრენი გადაკეთებულია და მორგებულია ერთ კაცზე, მეორეც მისი მსგავსია. ჩვენ დღეს ასეთი ძვირფასი ვერტმფრენების მოთხოვნილება არ გვაქვს. თუკი საშუალება გექნება, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ თუ ჩვენს ბიუჯეტს შეხედავთ, გაიხსენებთ სოციალურად დაუცველებს და მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას, რომელიც სიღარიბეში ცხოვრობს, ვფიქრობ ასეთი ღირებულების ვერტმფრენებით სარგებლობა მისი მხრიდან ამორალური იყო, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერის შეფასებით, ის, რომ მიხეილ სააკაშვილი ამ თემაზე „ხმის ამოღებას ბედავს“, ქართული საზოგადოების კულტურაზე მიუთითებს.

— ჩვენ კულტურული ხალხი ვართ. ამ ყველაფერს ვითმენთ და ეს კაცი ამით სარგებლობს. ამ ფრანგული ვერტმფრენების ჩამოყვანა არ გვინდოდა, მაგრამ ადგილზევე ვერ გავყიდეთ. იქ შენახვა ძვირი გვიჯდებოდა და ამიტომ ჩამოვიყვანეთ. ჩვენ არა 80 და 60 მილიონად, არამედ გაცილებით იაფად, რამდენიმე მილიონად მოვახერხეთ ძველი ვერტმფრენების აღდგენა, რომელიც ჰყავს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს. ასე გაცილებით მარტივი იქნება, — აღნიშნა ივანიშვილმა.

პრემიერის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობა დღესაც ცდილობს ფრანგული ვერტმფრენების გასხვისებას, თუმცა ჯერ მყიდველი ვერ იპოვნა.

პრემიერი თავის გამოსვლაში სამინისტროებში მოწყობილ ძვირადღირებულ „ღრეობებსაც შეეხო.

— ძალიან ბევრ პრეზენტაციას დავესწარი სხვადასხვა სამინისტროში და ვნახე, რომ სუფრებზე იხარჯება ძალიან დიდი თანხები. ამაზე ხმამაღლა უკმაყოფილება აქამდე არ გამომითქვამს. ეს არ არის შესატყვისი ჩვენს დღევანდელობასთან. ყველა სამინისტროს, მიუხედავად იმისა, თუ რა დღესასწაულია, არ არის სწორი, რომ ამხელა თანხები დახარჯოს. ეს ეხება სამინისტროებსაც და აჭარის მთავრობასაც. დღესასწაული არ შეიძლება აუცილებლად გადაიქცეს ღრეობად, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

დღევანდელ კონფერენციაზე, რომელიც შეეხება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ჟურნალისტმა ზვიად ქორიძემ ისაუბრა ერთ-ერთ გაზეთში გავრცელებულ სტატიაზე, რომლის მიხედვითაც, ბათუმის დღესასწაულზე აჭარის მთავრობისგან სწორედ სუფრებზე დაიხარჯა ყველაზე მეტი თანხები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებულ მოვლენებსაც შეეხო და პრობლემები ძველ გუნდს დაუკავშირა. როგორც ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, საზოგადოებრივ მაუწყებელს „ნაციონალური მოძრაობა“ ტოტალურად აკონტროლებდა და მათი არჩეულია სამეურვეო საბჭო. **ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ის ცვლილებები, საზოგადოებრივ მაუწყებელთან მიმართებაში რაც მოხდა, გასაგები ყოფილიყო ევროპელებისთვის. ჩვენ მაქსიმალურად დავიცავით საზოგადოებრივ მაუწყებელთან მიმართებაში პარიტეტი. ვცდილობდით, რომ თანმიმდევრულად გარდაქმნილიყო და ჩამდგარიყო საზოგადოების სამსახურში. ვფიქრობ, ეს არის მცდელობა ძველი გუნდისგან, რაც ხდება საზოგადოებრივ მაუწყებელში. მე არ მინდა დიდი დასკვნები გავაკეთო აღნიშნულ თემასთან მიმართებაში,** — აღნიშნა ივანიშვილმა.

* * *

საქართველოს მთავრობამ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსანსა და პატარკაციშვილების ოჯახს შორის დადებულ გარიგებაზე გრიფით „საიდუმლოს“ მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების კვლევის ინსტიტუტის პრეზენტაციაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ტელეკომპანია „იმედის“ თემაზე ყოფილ სახელმწიფო ჩინოვნიკსა და პატარკაციშვილების ოჯახს შორის დადებულ გარიგებაზე გრიფით „საიდუმლოს“ მოხნის გადაწყვეტილება მთავრობის 5 სექტემბრის სხდომაზე მიიღეს და ის ამჟამად პრეზიდენტს აქვს გადაგზავნილი.

— ამ შეთანხმებაში ისეთი რამ ეწერა, ამის თქმა არ შემიძლია, თუმცა მე რომ წავიკითხე, თმები ყალყზე დამიდგა. საოცარ პირობებს აწერენ ხელს, ერთი მხრივ, ყოფილი სახელმწიფო ჩინოვნიკი და, მეორე მხრივ, პატარკაციშვილების ოჯახი. არ შემიძლია ვთქვა, თუ როგორი შეთანხმება იყო მიღწეული და ამას ისე მალავდნენ, რომ ვიდრე სახელმწიფო იარსებებდა, ამ დოკუმენტზე გრიფით „საიდუმლოს“ მოხსნის უფლება არავის ექნებოდა, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

რაც შეეხება მასალებს, რომელთაც გრიფი „საიდუმლო“ ადევს, ყველგან არის კრიმინალი, — განმარტა პრემიერმა.

მისი თქმით, მასალებში პირდაპირი მნიშვნელობით იკვეთება ყოფილი ხელისუფლების დანაშაულებრივი ქმედებები.

— ყველაზე მარტივი ფორმა, რაც მათ ნახეს, არის ის, რომ მასალებს გრიფი „საიდუმლო„ დააადეს. არ მინდა სასამართლოს დავასწრო და ამაზე კონკრეტულად არ ვისაუბრებ. ჩვენ უნდა დავადგინოთ ნუსხა, თუ რა შეიძლება იყოს საიდუმლო. ამისთვის საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა, მუშაობა და შემდომი სტანდარტების შეთანხმება, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

◎ ინფორმაცია

მერაბიშვილს ხასიათი გამოუკეთდა და „ღადაობაზე“ გადავიდა

— ჯანმრთელი ცხოვრების წესით ვცხოვრობ და რომ არ მოვიწყინო საკანში, ქუთაისში მიწევს ჩამოსვლა, — ამის შესახებ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა სასამართლო სხდომაზე განაცხადა. „მე არ მიკვირს და ვთვლი, რომ მოსამართლე არის ვაუკაცური ადამიანი, რომელმაც თავის თავზე აიღო დიდი დარტყმა და სხვა მოსამართლეებს თავიდან ააცილა ის ვალდებულება, რომელიც აღებული აქვს. სხვათა შორის, მან სახელიც გაითქვა, რადგან მის სახელსა და გვარს ბევრი ვერც გაიგებდა დიდი ხნის განმავლობაში. მინდა ვთქვა, რომ აზრი დაეკარგა სერიოზულ მომზადებას ამ პროცესისთვის იმიტომ, რომ საბოლოოდ ცნობილია შედეგი, რომელიც დადგება, რადგან ბატონი გურული არის ყველა დასავლეთ საქართველოს სასამართლოს ხელმძღვანელი და ვერც ერთი მოსამართლე ვერ გაუძლებს პრესს ხელისუფლებისგან და მით უმეტეს ვერ გაუძლებს იმ პრესსინგს, რომელიც თან დაერთვება კიდევ მისი უშუალო ხელმძღვანელობით,“ — აღნიშნა მერაბიშვილმა.

მისივე თქმით, ეს ხელისუფლება საკანში მას ცივ ნიავს არ აკარებს. „ხელისუფლება ცივ ნიავს არ მაკარებს, მჟავეს, მწარეს არ მაჭმევს, ვყავარ დიეტაზე, ჩემს ცოლს არ უშვებენ და ქალს არ მაკარებენ, ქუთაისში დავყავარ, შეგუებული ვარ, რაც მელოდება და იუმორით ვუყურებ ამ ყველაფერს“, — განაცხდა მერაბიშვილმა.

მთავარი პროკურორის მოხსნა-დანიშვნა პრემიერ-მინისტრის პრერეროგატივა ხდება

შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტში უკვე ინიცირებულია, რომლის თანახმადაც, მთავარ პროკურორს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით პრემიერ-მინისტრი დანიშნავს. ამავე ცვლილებების გათვალისწინებით, პროკურატურის საქმიანობაზე საპრეზიდენტო კონტროლი უქმდება და მთავარი პროკურორისგან ინფორმაციას პერიოდულად პრემიერ-მინისტრი მოისმენს.

უნდა აღინიშნოს, რომ თანამდებობაზე მთავარი პროკურორის პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშვნისა და მოხსნის საკითხს პარლამენტი მაშინაც იხილავდა, როცა მუშაობა პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებების ერთმანეთისგან გამიჯვნაზე მიმდინარეობდა. რამდენიმე თვის წინათ უმრავლესობამ ამ მიმართულებით „პროკურატურის შესახებ“ კანონი ვერ შეცვალა, რადგან ცვლილების განხორციელება საჭირო იყო კიდევ ერთ — „მთავრობის სტუქტურის, უფლებამოსილებისა და წესის შესახებ“ კანონშიც, რასაც პრეზიდენტმა თანხმობა არ მისცა.

საკითხი დეპუტატ შალვა შავგულიძის ავტორობითა და ინიციატივით პარლამენტში ახლა ისევ შევიდა.

ინტერპრესი

◎ მუქარა

„პირადად ჩავალ, შევხვდები ევროკავშირის პრეზიდენტს და ვეტყვი, საქართველოს მიხედოს“...

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა პრემიერ- მინისტრს ულტიმატუმი წაუყენა. გაზეთ „პრემიერისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ხატიაშვილმა განაცხადა: **თუ 15 სექტემბრამდე მისი მოთხოვნები არ შესრულდება, ბიძინა ივანიშვილი „ცუდ დღეში აღმოჩნდება“.**

„15 სექტემბრის მერე მივმართავ არასამთავრობო სექტორს და დავიწყებ ხელმოწერებს განცხადებებზე, რომელსაც ნათარგმნი სახით გავუგზავნი ამერიკის კონგრესს და ევროკავშირის პრეზიდენტს. მათ ვთხოვ, რომ ივანიშვილი, შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშ-

ვილი, მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი და მისი მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი არ შეუშვან ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, როგორც წამებაში მონაწილე პირების მფარველები. ბიძინა ივანიშვილი ფიქრობს, რომ შერჩება, საარჩევნოდ უამრავი დაპირება რომ მისცა ხალხს, მერე აღარაფერი გაუკეთა და ჩუმად გაიპარება?! ეს არ მოხდება, თუმცა, ჩემი აზრით, ეს კაცი წამსვლელიც არ არის.

ადამიანი, რომელსაც მოუნდება, დანიშნოს უნივერსიტეტის რექტორი, არსად წასვლას არ აპირებს. ზოგი წერილებს იმიტომ წერს, რომ გული მოიოხოს, მაგრამ ყველა ჩემი განცხადება, ღია წერილი ითარგმნება და საფუძვლად დაედება იმ წერილს, რომელიც გაიგზავნება ევროკავშირის პრეზიდენტის სახელზე. როცა მოქმედი პრემიერ-მინისტრი, თავისი უმოქმედო საქციელით, დანაშაულის ფაქტების წაყრუებით, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს მოსვლიდან ერთ წელში აიძულებს, დასახმარებლად მიმართოს ევროკავშირის პრეზიდენტს და სთხოვოს, არ შეუშვათ თქვენს ტერიტორიაზე, ეს კაცი სამოქალაქო საზოგადოების მტერიაო, ის პრემიერი რაღაცაზე მაინც აუცილებლად უნდა დაფიქრდეს.

კიდევ გიმეორებთ, 15 სექტემბრამდე თუ არ მოხდა ის, რასაც მე ვითხოვ,. პირადადაც ჩავალ, შევხვდები ევროკავშირის პრეზიდენტს და ვეტყვი, საქართველოს მიხედოს, რადგან სააკაშვილის რეჟიმის მოცილებით, საქართველოში რეჟიმი არ დასრულებულა“, — განაცხადა ხატიაშვილმა საგაზეთო ინტერვიუში.

ნატა ნიბლაძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● მარგველაშვილი ჯერ არ აურჩევიათ, მაგრამ ის დანაპირები, რაც მან განათლების მინისტრობის დროს გაახმოვანა, მოიტყუა: მრავალშვილიან ოჯახის წევრების სტუდენტის სწავლების საფასურს სახელმწიფო დააფინანსებსო.

● მიწების უცხოელებზე გასხვისება კანონით შეჩერდაო, მაგრამ უცხოელებმა და, კერძოდ, კაბიანმა ინდოელებმა სხვა გზა იპოვეს ჩვენი მიწების ხელში ჩასაგდებად, ფიქტიურ ქორწინებას სთავაზობენ ფულის მონა ქართველებს 4000 დოლარის საფასურად, ბინაში ჩაწერას სთხოვენ და ასე ცდილობენ შეიძინონ ჩვენი მიწები! 4000 დოლარად ვინც ასეთ რამეს გააკეთებს, ის არის მოღალატე და ქართველი ერის გამყიდველი, და ის აუცილებლად უნდა დაისაჯოს!

● თუ ნიჭიერ ადამიანებს, რომლებიც ნაცპარტიაში იყვნენ გაწევრებულნი, ერთი კაცი ხან ხალხს ახოცინებდა, ხან ქართულ მიწებს ასხვისებინებდა, ხან აჭერინებდა, უკანონო კანონებს აწერინებდა და მერე ტაშის გრიალში ამტკიცებინებდა, ქვეყნის ბიუჯეტს თავისი ნაშების პოხონდრიებზე ახარჯინებდა, კარალეთში ქვებს ასროლინებდა, უაზრო პროექტებს ასრულებინებდა და ათას რამეს აკეთებინებდა, ის კაცი ყოფილა ყველაზე ნიჭიერი და სად ვუშვებთ?

● ძალიან მაინტერესებს, თუ რა შეფასებები ჰქონდათ ნაცმოძრაობის შესახებ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ბატონ ზურაბ აბაშიძეს, ბატონ ხმალაძეს და ყველა იმ მეოცნებეს, რომლებიც ნაცმოძრაობის სისტემურ დანაშაულს არ აღიარებენ და ამ ორგანიზაციის აქტივისტთა სახელმწიფო სამსახურებში დატოვების მომხრენი არიან (განსაკუთრებით კარალეთის ქვათაცვენის შემდეგ).

არა, მე კი მახსოვს, მაგრამ იმიტომ ვიკითხე, მაგათ თუ ახსოვთ-მეთქი.

● მოყვარეს პირში უძრახეო, გაიფიქრა გიგი უგულავამ და შიხაშვილი გააკრიტიკა.

არ მჯერა იმ ქვეყანაში ჩატარებული თავისუფალი არჩევნების, სადაც არჩევნების გამყალბებლები არ ისჯებიან სათანადოდ!

● არ მჯერა იმ მთავრობის, რომელიც ადამიანს საკუთარ ქვეყანაში წართმეულ ქონებას და სამართალს არ უბრუნებს!

არ მჯერა იმ სასამართლო სისტემის, ვინც გამაპატიურებელს და მოძალადეს გარეთ უშვებს!

არ მჯერა იმ საარჩევნო კომისიის, ვინც მე მართმევს თავისუფალი არჩევანის უფლებას!

არ მჯერა იმ მასწავლებლების და არასდროს ჩავაბარებ მათ ჩემი შვილის აღზრდას, ვინც ცხვრებივით მიჰყვებიან საკრებულოს წევრებს სამთავრობო პრეზიდენტობის კანდიდატთან შესახვედრად!

არ მჯერა კიდევ ბევრი რამის... აღარ მინდა 20-წლიან ჭაობში (და არა სამშობლოში) ცხოვრება!

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

საქმის სათავეში აღზრდილია საჭირო და არა აღსაზრდელი!

ფიქრები საზოგადოების მიერ სახელმწიფოს მართვის ივანიშვილისეულ იდეასთან დაკავშირებით

საძარცველოს უახლესი ისტორია, რომელიც 1991 წლის დეკემბრიდან იწყება, აღსავსეა მოულოდნელობებით, გაუთვლელი სახელმწიფო პოლიტიკით, შიდა და გარე ცხოვრებაში შეუსაბამო მოქმედებით, სახელმწიფო თანამდებობისადმი ზღვარგადასული ტრფიალით, უკიდეგანო კორუფციით, ერთმანეთისადმი უზნეო, არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, სხვა მრავალი ნეგატიური თვისებით, რამაც თითქმის გამოუსწორებლობის ზღვრამდე მიიყვანა ქვეყანა – ერთობ მცირე ტერიტორიითა და მცირე მოსახლეობით.

საქართველოს უახლეს ისტორიაში – დამოუკიდებლად ცხოვრება რომ ჰქვია, იმდენ უარყოფითი მოვლენა იყო და არის, ერთად აღებულ რამდენიმე დიდ სახელმწიფოსაც რომ ეყოფა.

გაივლის წლები, შეიძლება ათეული, და იმჟამინდელი თაობა გაოცებით წაიკითხავს ბედკრული ქვეყნის დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყოსის ისტორიას. წაიკითხავს და გაოცდება – რანი ვყოფილვართო – იტყვის. იტყვის მაშინ, თუ ნამდვილი და არა შელამაზებული ისტორია ექნება წასაკითხად და, რაც მთავარია, თუკი მანამდე გაძლებს ქვეყანა.

21-ე საუკუნე, გლობალიზაციით გაჟღენთილი, არათუ პატარებისთვის, დიდი სახელმწიფოებისთვისაც მძიმე გამოცდის საუკუნე იქნება. გაუჭირდება ყველას, ვისაც ეროვნული თვითშეგნების, საკუთარი სამშობლოს მოჭარბებული სიყვარული არ ექნება, ვინც საქმით და არა ლიტონი სიტყვით, ხელს არ შეუწყობს სამშობლოს სიმტკიცეს.

თავაწყვეტილი კონკურენციის, პოლიტიკური ალღოს, სამხედრო-ეკონომიკური და კულტურული პაექრობის, ახალი იდეების, პრაგმატიზმის, ტექნოლოგიური დახვეწილობის საუკუნეში მოუწევს ცხოვრება ახალ თაობას. გაართმევს თავს ყოველივე აღნიშნულს ქვეყანა, რომელსაც ერთობ არასახარბიელო 20 დამოუკიდებელი სასტარტო წელი ჰქონდა?

ისტორიული თვალსაზრისით, 20 წელი ერთი გაელვებაა, მაგრამ ეს იმჟამინდელ ისტორიაში. ამჟამინდელში, კომუნიკაციებით აღსავსეში, არათუ 20 წელს, ერთ კვირასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნაბოძები დამოუკიდებლობის წლები საქართველომ უარყოფითად განვლო, იმდენად უარყოფითად, რომ დადებით მომავალზე ფიქრი, მით უმეტეს ოცნება ჭირს. წინა ხელისუფალთა წყალობით, ქვეყანამ მიიღო ახალგაზრდობა, ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი, დასავლეთისკენ მაყურებელი, წარსულის უცოდინარი, ადრეულ ასაკში სახელმწიფო თანამდებობის სიკეთეს, მაღალ ანაზღაურებას, ხელფასზე დანამატს, პრემიებს ნაზიარები.

სახელმწიფომ მიიღო მთავრობის მიერ ფულით მოსყიდული ახალგაზრდა მოხელეები, რომელთა პროფესიონალიზმი წინა ხელისუფალთა თვალში ციცინში გამოიხატებოდა. შეძლებს ასეთი თაობა 21-ე საუკუნისთვის შესაფერისი ქვეყნის შექმნას, გაუძლებს ის შიდა და გარე გამოწვევებს?

წინა ხელისუფლებამ ყველაფერი იღონა კორუფციის გაახალგაზრდავებისთვის, ადრეულ ასაკში დაუმსახურებელი, უშრომელი ფულის მიღების პროცესთან შეგუებისთვის. ვერც ერთი მშობელი ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი შვილი მრუდე გზით, თითქმის უმწიფარ ასაკში, ესოდენ მომხვეჭელი გახდებოდა.

საზოგადოების ხრწნის პროცესი ნაბოძებ დამოუკიდებლობაზე გაცილებით ადრე დაიწყო. საშუალო და მეტი ასაკის ხალხს ემახსოვრება საბჭოთა მწერლის ასტაფიევის თხზულება საქართველოს იმჟამინდელი ახალგაზრდების შესახებ. მოყვარეს პირში უძრახეს და არა კრიტიკის პოზიციიდან ნათქვამმა იმდენად გაანაწყენა საქართველოს საზოგადოება, რომ საკავშირო მწერალთა ყრილობაზე დამსწრე საქართველოს მწერალთა დელეგაციამ დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი.

არადა, ასტაფიევი გულდათუთქული წერდა ისტორიულად გმირი ქართველების საველალო ტრანსფორმაციაზე, მოშვებულ მუცლებსა და უკანონო შემოსავლებით ნაყიდი ავტომანქანის გასაღების თითზე ტრიალზე. „შენი წონა ფული მაქვს, გესვრი და წაგაქცევ“ – მიღებული ფრაზა იყო გადაგვარების გზაზე დამდგარ საზოგადოებაში, რასაც დიდის სიზუსტით აღწერს თავის რომანებში გურამ ფანჯიკიძე. ალბათ ისიც გახსოვთ, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დამოუკიდებელი ქვეყნის პარლამენტში ბიზნესმენ სიორიძის მიერ კოლეგა პარლამენტარისთვის ნათქვამი - ჩემთან პაექრობას არ გირჩევ, მძიმე წონისა ვარ.

გამხდარი სიორიძის სიტყვების მნიშვნელობა დიდი ფულის პატრონობას გულისხმობდა, რასაც სხვაში, მის მიმართ, რიდი და მორჩილება უნდა გამოეწვია. დღევანდელი თაობა, ცხადია ყველა არა, ხომ ასტაფიევის პერსონაჟების შვილები და შვილიშვილებია?!

გუშინდელ სპეკულანტს დღეს ბიზნესმენი ჰქვია. ფულმა დაიმონა საზოგადოების დიდი ნაწილი. ფულმა ჩაახუტა ერთ დროს პატრიოტი ქართველი ამერიკას, თურქეთს, ევროპას, გახადა რა ის გლობალისტი – ცუდი გაგებით.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ღია წერილში ჩამოყალიბებული მოსაზრება – ხელისუფლების საზოგადოებრივ კონტროლთან დაკავშირებით ბევრ კითხვას ბადებს. მათ შორის ისეთ მარტივს, როგორიცაა – რამდენად შესაძლებელია არაობიექტური, გაუნათლებელი, მომხვეჭელობაზე მომართული საზოგადოების მიერ მთავრობის კონტროლი?

წერილის ავტორი მიიჩნევს, რომ მზადაა ობიექტური, დემოკრატიული საზოგადოების ასაშენებლად ძალ-ღონე არ დაიშუროს, მაგრამ ერთი კაცი, თუნდაც მილიარდერი, შეძლებს ამ უზარმაზარი ტვირთის აწევას? საზოგადოების ჩამოყალიბება ხომ არ დაემსგავსება მთავრობის ჩამოყალიბების იმ გზას, ივანიშვილის გარდა, არავის რომ არ მოსწონს?

ბოლო პრესკონფერენციაზე პრემიერმა შეაქო მთავრობა და ამით თავიც შეიქო, პროფესიონალი კადრების მოზიდვისთვის – „ჩვენს მთავრობაში არიან კარგი მინისტრები და უფრო კარგებიო“, – ბრძანა მან. თუ ასეთი კარგები არიან, რატომ არის საქმე ცუდად? – სვამენ შეკითხვას. არა უშავს, ისწავლიან, გაერკვევიან მუშაობაშიო, – იყო პასუხი მისი.

თბილისის „დინამოს“ მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა ჟურნალისტის ნათქვამს – რატომ არ ზრდით ფეხბურთელს თბილისის „დინამოში“, – მიუგო, თბილისის „დინამოში“ გაზრდილი ფეხბურთელი უნდა მოვიდეს და არა აღსაზრდელიო. ხელისუფლებაში გამოცდილი, პატიოსანი, პატრიოტი, პროფესიონალი უნდა იყოს და არა გამოუცდელი და გასაზრდელი უვიცი, თანაც საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენისა.

უნივერსიტეტის ახალი რექტორისადმი მიმართვაში „ტვირთი უფლისგან“ – იოსებ ჭუმბურიძე იხსენებს რეზო თაბუკაშვილის ნათქვამს: „როცა დათიკო ჩხიკვიშვილი დანიშნეს უნივერსიტეტის რექტორად, მივედი და ვუთხარი, ივანე ჯავახიშვილის სავარძელში რომ ჯდებოდი, რას ფიქრობდიმეთქი“.

დამოუკიდებლობის წლებმა ბევრი ცუდი რამ შესძინა ხალხს, მათ შორის თავხედობა, საკუთარი შესაძლებლობების შეუფასებლობა, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის ქონა. ცხადია, ეს მანკიერება საკაშვილის დროს ზემოდან იყო წახალისებული – მორჩილი მოხელის მიღებისთვის, რამაც გამოუსწორებელი შედეგი მოუტანა საზოგადოებას – სახელმწიფო თანამდებობების დევალვაცია. უვიცი თინეიჯერის თანამდებობაზე დანიშვნამ ობიექტური გულისწყრომა გამოიწვია მსგავს უვიცი თინეიჯერთა შორის – ის თუ დანიშნეს, მე რატომ არ მნიშნავენო.

ხელისუფლების გაახალგაზრდავების თითქმის ათწლიანმა კურსმა – სტრატეგიული პარტნიორის მიერ მხარდაჭერილმა და წახალისებულმა, იმედგაცრუება და, რაც მთავარია, გულაცრუება გამოიწვია სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ. „ადამენტში ბიზნესმენ სიორიძის მიერ კოლეგა პარლამენტარისთვის ნათქვამი - ჩემთან პაექრობას არ გირჩევ, მძიმე წონისა ვარ.

„ხალხი

„ადამენტში ბიზნესმენ სიორიძის მიერ კოლეგა

ინფორმაცია

მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

„მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ“ ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება. მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია 2014 წლისთვის — ცხრილი №1

№ №	ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი	იურიდიული მისამართი	ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა	საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის წლიური მოცულობა (კუბ.მ.)	**მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მოხმარებულია კატეგორიების მიხედვით
ა	ბ	გ	დ	ე	ვ
1	შპს „სოკარ ვორვლია გაზ დისტრიბუშენ“	ქ.თბილისი, ჭიჭიყის ქ. №13	0(32) 254 94 30 0(32) 254 94 32	არასაყოფაცხოვრებო 101300 000	არასაყოფაცხოვრებო 50,8 - 54,1
2	შპს „ვაზტრანსგაზ-თბილისი“	მიდელეიზის ქ.№18ა	114 0(32) 220 04 04 faqsi 0(32) 237 64 93 ტელ.0(32)237 63 80 E-mail: info@ktg-tbilisi.ge	საყოფაცხოვრებო 345 000 000 არასაყოფაცხოვრებო 135 000 000	საყოფაცხოვრებო 25,721 არასაყოფაცხოვრებო 50,619 - 58,712
3	შპს „სოკარ ვორვლია გაზი-ქართლი“	ქ. მცხეთა. ვაჟა-ფშაველას ქ.№1;	0(32) 224 35 21	საყოფაცხოვრებო 50 000 000 არასაყოფაცხოვრებო 20 000 000	საყოფაცხოვრებო 26,272 - 40,97 არასაყოფაცხოვრებო 47,458 - 71,949
4	შპს „სოკარ ვორვლია გაზი-იმერეთი“	წყალტუბო, 9 აპრილის ქ.№62ა	ცხელი ხაზი 114 577 105 669 faqsi: 0(436) 22 42 35 imereti@socar.ge	საყოფაცხოვრებო 44 600 000 არასაყოფაცხოვრებო 18 400 000	საყოფაცხოვრებო 26,331 - 36,423 არასაყოფაცხოვრებო 51,042 - 61,212
5	შპს „სოკარ ვორვლია გაზი-სამეგრელო“	ზუგდიდი, რუსთაველის 94	0(415) 22 99 04 director@sgg-samegrelo.ge	საყოფაცხოვრებო 9 359 000 არასაყოფაცხოვრებო 2 237 000	საყოფაცხოვრებო 26,331 - 30,745 არასაყოფაცხოვრებო 52,189 - 61,358
6	შპს „სოკარ ვორვლია გაზი გურია“	ქობულეთი, ჯაბეგის მე 3 შესახვევი №9	114 0(496) 27 60 70 E-mail:guria@sokar.ge	საყოფაცხოვრებო 3 946 020 არასაყოფაცხოვრებო 1 611 000	საყოფაცხოვრებო 26,127 - 34,567 არასაყოფაცხოვრებო 50,703 - 61,085
7	შპს „სოკარ ვორვლია გაზი-კახეთი“	ქვემარელი, აღმაშენებლის ქ№66	114 0(352) 22 14 10 0(352) 22 17 79	საყოფაცხოვრებო 12 222 930 არასაყოფაცხოვრებო 3 036 200	საყოფაცხოვრებო 26,381 - 39,89 არასაყოფაცხოვრებო 55,874 - 59,262
8	შპს „სოკარ ვორვლია გაზი-აჭარა“	ქ. ბათუმი.ბარათაშვილის №20	0(422) 21 01 93 577 21 01 93 adjaragaz@socar.ge	საყოფაცხოვრებო 24 000 000 არასაყოფაცხოვრებო 16 000 000	საყოფაცხოვრებო 26,418 - 35,121 არასაყოფაცხოვრებო 50,625 - 60,667
9	ს.კ.ს "მღვრიმეული"	გურჯ. რ-ნი, ს. ველისციხე, 9 აპრილის ქ.№31	595 15 39 10 595 50 34 93	საყოფაცხოვრებო 650 000 არასაყოფაცხოვრებო 20 000	საყოფაცხოვრებო 30.619 არასაყოფაცხოვრებო 65,492
10	ს.ს „ვისოილ პეტროლიუმ ჯორჯია"	ქ.თბილისი, ჭავჭავაძის ქ.№74ბ	032 2 915 315(115)	საყოფაცხოვრებო 6 300 000 არასაყოფაცხოვრებო 29 700 000	საყოფაცხოვრებო 26,382 არასაყოფაცხოვრებო 53,445– 59,433
11	შ.პ.ს "გაზთიადი"	გარდაბნის რ-ნი, სოფ. ჯრიჭალა	555 41 36 41	საყოფაცხოვრებო 510 000 არასაყოფაცხოვრებო 11 000	საყოფაცხოვრებო 29,236 არასაყოფაცხოვრებო 54,614
12	შ.პ.ს "ორეული და ჯანმრთელობა"	გარდაბანის რ-ნი,სოფ.ყარათაკლა	599 17 36 97 Ela-42@mail.ru	საყოფაცხოვრებო 250 000 არასაყოფაცხოვრებო 750 000	საყოფაცხოვრებო 26,382 არასაყოფაცხოვრებო 50,33
13	შპს „ნინიკა"	ყვარლის რ-ნი, სოფ. შიღდა	599 17 13 09	საყოფაცხოვრებო 350 000 არასაყოფაცხოვრებო 10 000	საყოფაცხოვრებო 26,381 არასაყოფაცხოვრებო 56,173
14	შპს „სართიჭალაგაზი"	გარდაბნის რ-ნი, სოფ.სართიჭალა, კოსტავას ქ№145	0(790) 47 55 77 sartichalisgazi@mail.com	საყოფაცხოვრებო 1 100 000 არასაყოფაცხოვრებო 200 000	საყოფაცხოვრებო 28,11 არასაყოფაცხ. 58,09
15	სს „ენერგოკავშირი"	ქ. თბილისი, ზუბიანი, I მ/რ, კორპ. №13	0(32) 264 28 69 energokavshiri@caucasus.net	საყოფაცხოვრებო 7 300 000, არასაყოფაცხოვრებო 3 500 000	საყოფაცხოვრებო 26,381 არასაყოფაცხოვრებო 50.85
16	სპს "ბოგოჩური და კომპანია"	გარდაბანი, სოფ. გამარჯვება	574 71 52 23	არასაყოფაცხოვრებო 3 500 000	არასაყოფაცხოვრებო 54,231 - 62.7
17	შპს „არზუ-გაზი"	გარდაბნის რ-ნი, სოფ.ეკიანი	599 16 03 56	საყოფაცხოვრებო 200 000	საყოფაცხოვრებო 30,619
18	ს.ს „ საჩხერეგაზი"	ქ. საჩხერე. თამარ მეფის ჩიხი №8	8(435) 22 51 15 595 72 72 07 sachkeregazi@yahoo.com	საყოფაცხოვრებო 4 450 000 არასაყოფაცხოვრებო 2 850 000	საყოფაცხოვრებო 26.33 არასაყოფაცხოვრებო 65.32 - 72.45
19	შპს „აჭარის ბუნებრივი აირი"	ქ. ბათუმი, ჯინჭარადის№15	0(422) 27 76 467	საყოფაცხოვრებო 50 000 არასაყოფაცხოვრებო 500 000	საყოფაცხოვრებო 26.382 - 35,085 არასაყოფაცხოვრებო 42,71 - 56,529
20	შპს „გამ"	ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67	0(32)224 25 90. nininikuradze@yahoo.com	არასაყოფაცხოვრებო 10 530 000	არასაყოფაცხოვრებო 58,52

21	შპს „ალმარი"	ქ. თბილისი, მუხიანი 2, გამარჯვების ქ. №2	0(79) 88 59 99 595 13 32 33 555 17 85 10	საყოფაცხოვრებო 965 000 არასაყოფაცხოვრებო 35 000	საყოფაცხოვრებო 26,504 არასაყოფაცხოვრებო 38,268
22	შპს „ ვარკეთილაირი"	ქ.თბილისი, ვარკეთილი 3, IIსა მრ, კორპ. 335	0(32)227 50 40 0(32)227 29 92 varketilairi@gmail.com	საყოფაცხოვრებო 11 000 000 არასაყოფაცხოვრებო. 700 000	საყოფაცხოვრებო 27,431 არასაყოფაცხოვრებო 52,534
23	შპს „ფაკე"	თბილისი, ელ.ახულოდიანის ქ. №30	591 26 18 52	საყოფაცხოვრებო 530 000 არასაყოფაცხოვრებო 80 000	საყოფაცხოვრებო 31,669 - 34,43 არასაყოფაცხ. 51,37
24	შპს „დიდი დიღომი"	ქ.თბილისი,დ. თავდადებულის ქ. №22	0(32) 253 34 36, 599 499 044 599 501 117 info@didi-digomgaz.ge	საყოფაცხოვრებო 7 614 000 არა საყოფაცხოვრებო 486 000	საყოფაცხოვრებო 27,432 არასაყოფაცხოვრებო 52,534
25	შპს „ტაბა"	ქ.თბილისი, ტაბახმელა	599 94 59 03. 593 22 99 61	საყოფაცხოვრებო 102 830 არასაყოფაცხოვრებო 22 500	საყოფაცხოვრებო 27,432 არასაყოფაცხოვრებო 52,534
26	შპს „ დიეგს"-ი	გარდაბნის რ-ნი, სოფ. ყარაჯალა	595 37 82 84	საყოფაცხოვრებო 9 000 არასაყოფაცხოვრებო 760 000	საყოფაცხოვრებო 30,619 არასაყოფაცხოვრებო 50,831 - 59,305
27	შპს „ ენერგია +"	ქ. ქუთაისი, ზაგარეულის ქ№58	598 62 75 27	არასაყოფაცხოვრებო 500 000	არასაყოფაცხოვრებო 63,49
28	შპს „გასკო+"	სენაკი, წმ. ნინოს ქ. №1	0 (413) 27 67 14 gaskopliusi@mail.ru	საყოფაცხოვრებო 1 100 000 არასაყოფაცხოვრებო 800 000	საყოფაცხოვრებო 26,381- 30,619 არასაყოფაცხოვრებო 58,329
29	შპს „აკრიანი 2006"	გარდაბანი, ს. მარტყოფი	595 58 65 86	საყოფაცხოვრებო 682 000 არასაყოფაცხოვრებო 40 000	საყოფაცხოვრებო 29,236 არასაყოფაცხოვრებო 72,149
30	შპს „ჩირაღდანი XXI საუკუნე"	ქ. თბილისი, ქებურიას ქ№39	0(32) 254 12 37 591 401456	საყოფაცხოვრებო 1 500 000 არასაყოფაცხოვრებო 105 000	საყოფაცხოვრებო 27,43 არასაყოფაცხოვრებო 52,53
31	შპს „ ვერსალი"	სიღნაღის რ-ნი, სოფ.ბოდბე	599 77 33 20	საყოფაცხოვრებო 550 000 არასაყოფაცხოვრებო 0	საყოფაცხოვრებო 26,424
32	შპს „ჩირაღდანი"	ლაგოდეხის რ-ნი, სოფ. ცოდოხისწყარო	599 15 47 66	საყოფაცხოვრებო. 90 500	საყოფაცხოვრებო 26,382
33	სპს ზაზა და გიორგი მატიაშვილები	გურჯ. რ-ნი, ს. ჩალაუბანი	551 91 89 38 zaza_mati@mail.ru	საყოფაცხოვრებო 180 000	საყოფაცხოვრებო 30,619
34	შპს „წალკაგაზი"	ქ.წალკა, ხრამჰესის ქ. №8	599 51 00 89	საყოფაცხოვრებო 150 000 არასაყოფაცხოვრებო 250 000	საყოფაცხოვრებო 26,38 არასაყოფაცხოვრებო 53,92
35	შპს „ეს ჯი გაზ კომპანი"	ქ. ახალქალაქი, თავისუფლების ქ. № 100	0(362) 22 32 44 595 20 40 39 595 42 95 77 sjgskcom_ ltd@mail.ru	საყოფაცხოვრებო 12 500 000 არასაყოფაცხოვრებო 2 500 000	საყოფაცხოვრებო 26,3 არასაყოფაცხოვრებო 57,54
36	შპს „მორწალო+"	ქ. თბილისი, თემქა, მე-2 მრ, I კვარტალი, კორპ.16, ბინა 13	599 92 35 45 gogi-giorgi@rambler.ru	საყოფაცხოვრებო 150 000 არასაყოფაცხოვრებო50 000	საყოფაცხოვრებო 26,38 არასაყოფაცხოვრებო 56,889
37	შპს "ლ-ნ"	ახალციხე, ნათენაძის ქ.№ 2	0 (365) 22 02 05;	საყოფაცხოვრებო 320 000 არასაყოფაცხოვრებო 180 000	საყოფაცხოვრებო: 26,551 არასაყოფაცხოვრებო. 53,87
38	შპს „სახლთა ექსპერეს სერვისი"	თბილისი, წერეთლის გამზ.141	551 20 11 11	საყოფაცხოვრებო 200 000 არასაყოფაცხოვრებო 50 000	საყოფაცხოვრებო 27,204 არასაყოფაცხოვრებო 53,56
39	შპს „ნტმ"	გარდაბნის რ-ნი სოფ. კალინინი	599 94 59 03	საყოფაცხოვრებო 250 000	საყოფაცხოვრებო 27 532
40	შპს „მამუკ"	მარნეული სოფ. ფიზილაღელი	577 42 64 75	საყოფაცხოვრებო 257 000 არასაყოფაცხოვრებო 792 000	საყოფაცხოვრებო 26,864 არასაყოფაცხოვრებო 60,763

*** – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც,მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.**

**** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა). მიმწოდებელს, რომელსაც თვითოეული კატეგორიისთვის შეთავაზებული აქვს ორი ფასი, ეს არის ზღვრული ფასები (ქვედა და ზედა ზღვარი) – ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.**

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი. ჩეჩელაშვილის ქ.№26.. ტელ: +995 431 25 61 20. ფაქსი: 995 431 25 61 21

◎ მოყვარეს პირში უძრახე

საქმის სათავეში აღზრდილია საჭირო და არა აღსაზრდელი!

(მესამე ბოლოდან) ცინიზმით არის გაჟღენთილი აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას განმარტება სირიის სამოცდღიანი დაბომბვების თაობაზე. აშშ-ის მოსახლეობის დასამშვიდებლად ის ამბობს, რომ ამერიკელი ჯარისკაცი ფეხს არ დაადგამს სირიის მიწაზე.

„ბაშარ ასადს ჭკუა უნდა ვასწავლოთ, რომ მომავალში ქიმიური იარაღი არ გამოიყენოს", – ამბობს ობამა. თითქოს, ამერიკელთა მასირებული სამოცდღიანი დაბომბვით მხოლოდ სირიის ხელისუფლება განადგურდება. დაბომბვებით ასჯერ და ათასჯერ მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპება, ვიდრე ქიმიური დაბომბვის დროს, რასაც დაუსაბუთებლად აბრალებენ ბაშარ ასადს.

ამერიკა სუპერ სახელმწიფოა, თანაც დიდი „დემოკრატი". მხოლოდ მან უნდა დაამყაროს მსოფლიოში წესრიგი და ამ პროცესში თუ გამოიყენებს ქიმიურ იარაღს, მსოფლიომ თვალი უნდა დახუჭოს, ვინაიდან მას უფლება აქვს, სხვას არა.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" (4-10 სექტემბრის ნომერი) აქვეყნებს სენსაციურ ინტერვიუს ამერიკელ ჟურნალისტ ჯეფრი სილვერმანთან, სადაც საუბარია საქართველოდან სირიაში „ბოევიკებისთვის" ქიმიური იარაღის გატანის თაობაზე: „ეს ინფორმაცია გორდონ დაფმა მომაწოდა. იგი სანდო წყაროებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ქიმიური იარაღი გემით საქართველოდან გაჰქონდათ სირიაში. მე ხელისუფლებას ის დაფარული საიდუმლო ჩანაწერები მივაწოდე, რომლებიც მოვიპოვე, მათ შორის იყო საქართველოში იარაღის თაობაზე გარიგებებთან დაკავშირებული მასალები.

სირიაში ქიმიური იარაღის მიწოდება გარედან, თურქეთის გავლით მოხდა. 2010 წელს საქართველოში მძიმე მასალები შემოვიდა, რომელთა გამოყენება შეიძლება როგორც მიწისქვეშა ბუნკერების, ასევე სპეციალური მიწისქვეშა ქიმიური, ბიოლოგიური ან სულაც ბირთვული კვლევითი დაწესებულებების მოსაწყობად", – აცხადებს რესპონდენტი.

ქარხანა, რომელიც თბილისში „ბიოლოგიური კვლევითი ლაბორატორიის სახით" გახსნეს ამერიკელებმა, 300 მილიონი დოლარი დაჯდა და ამერიკელი ჟურნალისტის ვრცელი მონათხრობით, საფრთხეს უქმნის არა მარტო საქართველოს, არამედ მთელს რეგიონს.

ამ და სხვა მაგალითების (2008 წლის აგვისტოს ომის ჩათვლით) შემხედვარემ, ვინც არ უნდა იყოს ის – ივანიშვილი თუ პეტრიაშვილი, როგორ უნდა ამტკიცოს რამე დასავლური „დემოკრატიის" სიკეთეებზე ან თუნდაც ნაცების ნიჭიერებაზე და ხალხის მიერ მათ შენდობაზე. სააკაშვილმა ისეთი მძიმე „საჩუქარი" დაუტოვა ბედკრულ ქართველობას, თუნდაც ამერიკული ბიოლოგიური ლაბორატორიის სახით, რომ ამ „ძღვენისგან" მრავალი თაობა ვერ გათავისუფლდება.

როგორც ჩანს, „ზედემოკრატიულმა" ამერიკამ ისეთ „დემოკრატიას" აზიარა ქართველობა, უარესს რომ ვერ მოიფიქრებდა კაცი. ამერიკელთა მარჯვენას ეკუთვნის საქართველოს მწამებელი ხელისუფლების გამოჩხრეკა, სააკაშვილის გაღმერთება და გაკოჰაბიტირება.

დასავლური დემოკრატიის სიკეთეებზე, მათ შორის ერთსქესიან ქორწინებასა და სხვაზე, ბევრი შეიძლება ითქვას, მაგრამ გაზეთი ვერ დაიტევს. დასასრულს კი ვიტყვი, თანაც ივანიშვილისთვის რჩევის სახით – იქნებ თავი დაგვენებებინა „დასავლურის" გამუდმებულ ხსენებაზე, მით უმეტეს, რით

არის ის უკეთესი მრავალსაუკუნოვან ჩინურ, ინდურ, იაპონურ, ირანულ კულტურაზე? იქნებ ჩვენ ჩვენი შეგვექმნა – მდიდარ წარსულზე დაფუძნებული?

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ჟურნალისტური გამოძიება

ვინ მფარველობს მიხეილ სააკაშვილს?..

2013 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ტელევიზიის რამდენიმე არხის საინფორმაციო გადაცემებში საქართველოს მთავარმა პროკურორმა, ბატონმა **არჩილ კბილაშვილმა** საქვეყნოდ განაცხადა, რომ **ქვეყნის არც ერთ საგამოძიებო სამსახურში არ მიმდინარეობს გამოძიება, რომელშიც ფიგურირებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.** ამავე დროს მთავარმა პროკურორმა დასძინა, რომ **ახლო მომავლის პესპექტივაში არ იგეგმება არც ერთ საქმესთან დაკავშირებით გამოძიების დაწყება, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი ამა თუ იმ სისხლის სამართლის ჩამდენ პირად მოიაზრება.**

მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის აღნიშნულ სატელევიზიო გამოსვლასთან დაკავშირებით 2013 წლის 5 აგვისტოს ჩვენმა სააგენტომ № ვ 1 სუხ-240 წერილით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს და საქართველოს ფინანსთა მინისტრს, ბატონ ნოდარ ხადურს. ხსენებულ წერილში ზემოთ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ვაცნობეთ, რომ **„2013 წლის25 თებერვალს ჩვენმა სააგენტომ საქართველოს ფინანსთა მინისტრს ნ.ხადურს მიმართა № ვ 1-სფს-115 წერილით, რომელშიც დოკუმენტურად იყო დადასტურებული საქართველოს პრეზიდენტის მ.სააკაშვილის მიერ ქვეყნის წინააღმდეგ ჩადენილი უმძიმესი დანაშაული, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 73.325 მილიონ აშშ დოლარად ღირებული ექვსი ჰიდროელექტროსადგურისა და ორი ენერგოგამანაწილებელი სადისტრიბუციო კომპანიის** (აღნიშნული თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ეს კომპანია აამუშავებდა ხსენებულ ენერგო ობიექტებს) **უცხოური კომპანიისთვის — შპს „ენერგო პროსა“ და იმავე „ენერგოპროსთვის“ სიმბოლურ ფასად (1000 აშშ დოლარი) მიყიდვას. აგრეთვე ამ ენერგოობიექტების კუთვნილი უძრავი ქონების (მიწები, შენობა-ნაგებობები და ა.შ.) საკუთრებაში გადაცემას.**

ჩვენი სააგენტოს დაჟინებული წერილობითი მოთხოვნების (მიმართვების) შედეგად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წერილობით (2013 წლის 8 მაისის № 3491/15-04-01) გვაცნობა, იმის შესახებ, რომ ჩვენი 2013 წლის 25 თებერვლის № ვ I სფს-115 მიმართვის საფუძველზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაიწყო გამოძიება სსსკ-ს 182-ე მუხლის მე-3 ნაწილი „ბ“ ქვეპუნქტით და 194 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტების საფუძველზე“. აღნიშნულთან დაკავშირებით უდავოა, რომ ხსენებულ გამოძიებაში, როგორც მთავარი მონაწილე პირი, აშკარად არის საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთავარი პროკურორი შეყვანილია შეცდომაში, ან მისთვის აღნიშნული საქმის არსებობა არ არის ცნობილი, უარეს შემთხვევაში შეგნებულად ცდილობს, ქვეყნის პრეზიდენტი არ ამხილოს დანაშაულში, რაც სამივე შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით დასჯადია.

ჩვენს ზემოთ მოყვანილ წერილზე საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მოგვწერა (№ 84673) **„2013 წლის 5 აგვისტოს № ვ I-სუხ — 240 განცხადების (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის № 01/199050) პასუხად გაცნობებთ, რომ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 30 მაისს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის მინისტრს აღარ აქვს საპროკურორო უფლებამოსილება, კერძოდ, კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად იუსტიციის მინისტრი არ ერევა პროკურორის მიერ ცალკეული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებასთან ანდა სისხლის სამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით განხორციელებულ მოქმედებებსა და მიღებულ გადაწყვეტილებებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოკლებული ვართ თქვენს მოთხოვნებზე სამართლებრივი რეაგირების შესაძლებლობას. ამასთან,როგორც მოგეხსენებათ, იდენტური წერილი, რომელიც წარდგენილი გქონდათ საქართველოს მთავრობის კანცელარიაში, გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას“.**

2013 წლის 4 სექტემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა „ექსპო-ჯორჯიაში“ ჩაატარა პრესკონფერენცია, მოწვეულ ჟურნალისტებს მან ფაქტობრივად საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილთან დაკავშირებით განუცხადა იგივე, რაც ზემოთ აღნიშნულ ტელეგადაცემებში ბრძანა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა. უფრო მეტიც, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა დასძინა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ამერიკა და ევროპა მიიჩნევს დემოკრატიის შუქურად და მის წინააღმდეგ ამა თუ იმ ნაბიჯების გადადგმა მათ მიერ მიიჩნევა ბარბაროსულ აქტად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი სააგენტოს მიერ პრემიერისადმი გაგზავნილ წერილს, საქართველოს პვრემიერ-მინისტრი 4 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციამდე ან არ იყო ინფორმირებული ჩვენი წერილისა და მასში მოყვანილი ფაქტების შესახებ, ან მისთვის ცნობილი, იყო ჩვენი წერილი და მიუხედავად ამისა, მან საჭიროდ ჩათვალა, მოეხდინა მისი იგნორირება, რომლის საფუძველს და მიზანს წარმოადგენდა მის მიერ სააკაშვილის და მისი თანაგუნდელების ჩადენილი სიბოროტე-სისხლის სამართლის მრავალი დანაშაულის გამართლება. ამიტომ მიგვაჩნია, რომ პრემიერი თავისი განცხადებით უნებლიედ ხდება სააკაშვილისა და მისი გუნდის მიერ ჩადენილი დანაშაულობების მფარველი, ან უარეს შემთხვევაში თანამონაწილე.

ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ყოველი ფაქტი,რომლის არსებობა უდავოა, პირდაპირ ადასტურებს იმას, რომ საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი და მთავრობა, კერძოდ, მთავარი პროკურატურა, ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღიდანვე „კოჰაბიტაციის რელსებზე დამდგარნი“ დაუფარავად იცავენ სააკაშვილს და მის ხელისუფლებას, რეჟიმს, რომელმაც 2004-2012 წლებში გაუბედურა ათი ათასობით მოქალაქე, ნულამდე დაიყვანა საგანმანათლებლო სისტემა, სრულიად ან ნაწილობრივ გაუქმა მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო კვლევითი-ინსტიტუტები, გაანადგურა სოფლის მეურნეობა და აგრარული მრეწველობა, უცხოელებს უკანონოდ ხელში ჩაუგდო არა მარტო კერძო სტრუქტურები, არამედ დაუკანონა და გადასცა მიწა, ტყე, წყალი. საბოლოოდ ხელი შეუწყო ქართული ძირძველი მიწების დაკარგვას და სხვა.

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე წინასაარჩევნოდ იძულებულნი ვართ განვაცხადოთ: **კარგად დაფიქრდეთ, ყველაფერი აწონ-დაწონოთ სანამ ხმას მივცემდეთ ერთმანეთთან კოჰაბიტაციაში მყოფ კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და სამშობლოს დამანგრეველ-გამყიდველი „ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატებს გიორგი მარგველაშვილსა და დავით ბაქრაძეს!**

თენგიზ ჩხიკვაძე,
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

◎ მართლმსაჯულება

გამკაცრებული სასჯელი ყველაზე დაფარული დანაშაულისათვის

შსს-ს გადაწყვეტილებით, სქესობრივი დანაშაულის ჩამდენი პირები მკაცრად დაისჯებიან. სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებათა კანონპროექტი, რომელიც მთავრობამ უკვე დადებითად შეაფასა, მალე განსახილველად პარლამენტში შევა. კანონში აქამდე არსებული ლიბერალური მუხლები, რომლებიც გაუპატიურებას და სხვა სქესობრივ-სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედებას თუ გარყვნილ ქმედებას შეეხებოდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, უფრო მკაცრი მუხლებით შეიცვლება. ეს, მათივე განცხადებით, საქართველოს კანონმდებლობას საერთაშორისო სამართალთანაც მიაახლოებს და, რაც მთავარია, დანაშაულის პრევენციასაც მოემსახურება.

გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება, სქესობრივი კავშირი 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან და გარყვნილი ქმედება — ეს ის დანაშაულებია, რომლებიც, შსს-ს მიერ წარმოდგენილი ახალი კანონპროექტით, უფრო მკაცრად დაისჯება, ვიდრე ეს აქამდე არსებული კანონმდებლობით ისჯებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის იურიდიული სამსახურის უფროსი ზვიად ოქროპირიძე რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ახალ კანონპროექტზე მუშაობისას კანონზე მომუშავე ჯგუფმა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის სულისკვეთება გაითვალისწინა. შედეგად როცა საზოგადოება ამაზე საუბრობს, როგორც დანაშაულზე, რომლისათვის სასჯელი გაამკაცრა სახელმწიფომ, ეს არის მესიჯი როგორც დამნაშავისთვის, ისე დაზარალებულისთვის, არ ჩაიდინოს დანაშაული ან, მსხვერპლის შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის ორგანოებს თუ ორგანიზაციებს...

მივიღეთ ის, რომ თუ, მაგალითად, აქამდე სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველ პირთან ისჯებოდა მხოლოდ 1-დან 3 წლამდე, ცვლილების თანახმად, ამ დანაშაულისთვის პირს 5-დან 7 წლამდე პასუხისმგებლობა დაეკისრება. იგივე სასჯელი დაწესდა არასრულწლოვანის მიმართ გარყვნილი ქმედების ჩამდენი პირებისათვის: **„სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსი ასეთი ტიპის დანაშაულებისთვის ჯარიმას და გამასწორებელ სამუშაოებს ითვალისწინებდა, რაც არ არის ადეკვატური სასჯელი. წარმოიდგინეთ, რომ მოსამართლეს ამ კანონით უფლება აქვს თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად სისხლის სამართლის დანაშაულისთვის ჯარიმა გამოიყენოს. კიდევ ერთი ცვლილება გაუპატიურებას უკავშირდება, კერძოდ, იმ სახით გაუპატიურებას, რომელმაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია ან განსაკუთრებული სისასტიკით იყო ჩადენილი. არც ეს დანაშაული ისჯებოდა ადეკვატურად და 15 წლის ნაცვლად პასუხისმგებლობა 15-დან 20 წლამდე გავზარდეთ“.**

ცვლილებათა კანონპროექტზე სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული შერეული ჯგუფი მუშაობდა. მათ შორის

იყო გაეროს ქალთა ორგანიზაციაც, რომლის პროგრამის სპეციალისტი თამარ საბედაშვილი ამბობს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ზოგადად დაფარული თემაა. განსაკუთრებით ეს ეხება სექსუალურ ძალადობას ოჯახსა და მის გარეთ: **„რაც შეეხება ასეთი ფაქტების რაოდენობის ზრდას წლების განმავლობაში, ამ საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც უფრო მეტად იზრდება საზოგადოების ცნობიერება და იმატებს ინფორმირებულობა იმავე კანონმდებლობაში სიახლეების შესახებ, მით უფრო იზრდება მიმართვიანობა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დანაშაული მატულობს“.**

სასჯელის გამკაცრების მთავარი მოტივაცია ყოველთვის არის დანაშაულის პრევენცია, ამბობს რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში თამარ საბედაშვილი, თუმცა, მისი თქმით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის დებატები და მსჯელობა, რომელიც ცვლილებათა პაკეტის მიღებას ახლავს თან: **„როცა საზოგადოება ამაზე საუბრობს, როგორც დანაშაულზე, რომლისათვის სასჯელი გაამკაცრა სახელმწიფომ, ეს არის მესიჯი როგორც დამნაშავისთვის, ისე დაზარალებულისთვის, არ ჩაიდინოს დანაშაული ან, მსხვერპლის შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის ორგანოებს თუ ორგანიზაციებს“.**

შსს-ს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, საქართველოში 2009 წელს გაუპატიურების 84 შემთხვევა დაფიქსირდა, 2010-ში — 82, 2011-ში — 78, 2012-ში — 81, ხოლო 2013-ში ჯერჯერობით — 49.

რა ვითარებაა საქართველოში სქესობრივი დანაშაულის თვალსაზრისით? — ზუსტი სურათის დადგენა იმის გამო, რომ ამ დანაშაულს თავად მსხვერპლი ფარავს ხოლმე, საკმაოდ რთულია. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის თავმჯდომარე ნატო შავლაყაძე რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში შენიშნავს, რომ არ ჩატარებულა სიღრმისეული გამოკვლევაც. ნატო შავლაყაძე იხსენებს რამდენიმე წლის წინადელ ამბავს, როდესაც მათი ორგანიზაცია მსგავს საკითხებზე მუშაობას შეუდგა და ჰქონდათ პედოფილიის შემთხვევა: როცა საქმე სასამართლომდე მივიდა, მოწმემ, ანუ დაზარალებულის დედამ, უარი თქვა ჩვენების მიცემაზე და, შესაბამისად, დანაშაულიც ვერ დამტკიცდა. ნატო შავლაყაძე ეჭვობს, რომ ოფიციალური სტატისტიკის მიღმა კიდევ არაერთი გაუცხადებელი შემთხვევაა: **„ვეჭვობ, სექსუალური დანაშაულის თვალსაზრისით, რეალურად გაცილებით დიდი ციფრი იქნება, მაგრამ ამაზე ღიად არავინ საუბრობს“.**

ნატო შავლაყაძის თქმით, კანონის გამკაცრების გარდა არის კიდევ ერთი აუცილებელი გზა, რომლითაც ამ ტიპის დანაშაულთან შებრძოლებამ შეიძლება შედეგი გამოიღოს — ეს არის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უშუალოდ პატიმრებთან სპეციალური პროგრამების ამოქმედება.

კავშირ „საფარის“ აღმასრულებელი დირექტორი კი მიიჩნევს, რომ კანონში ცვლილება მისასალმებელია, მაგრამ არ არის საკმარისი: **„სისხლის სამართლის კოდექსის თავი სექსუალურ დანაშაულზე არის მოძველებული და არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. შესაბამისად, აუცილებელია კოდექსის შინაარსობრივი დახვეწა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, იუსტიციის სამინისტრო გეგმავს ამ მიმართულებით მუშაობას. სასურველია, ამ პროცესში ადგილობრივი ექსპერტები ჩაერთონ. სექსუალური დანაშაული ერთ-ერთი ყველაზე მეტად ფარული დანაშაულია საქართველოში, რაც, თავის მხრივ, დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზითაც არის განპირობებული“.**

ეკა ძევანიშვილი,
რადიო „თავისუფლება“

აქა ამბავი როტარი კლუბისა და კიდევ ბევრი სხვა რამ...

ინტერვიუ საინტერესო რესპონდენტთან საინტერესო საკითხებზე

ჩვენი კორესპონდენტი თეა წიკლაური ესტუმრა ადამიანს, რომელიც მუდამ არის დაკავებული თავისი საქმით, პროფესიით, სტუდენტებით, ქველმოქმედებით, ხელოვნებით; რომელსაც მრავალი მეგობარი ჰყავს, ახლოს იცნობს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს და მჭიდროდ თანამშრომლობს მასთან.

პროფესორ-ამერიკანისტთან თამარ ცინცაძესთან სანგრძლივი და ნაყოფიერი საუბრის შემდეგ ჩავიწერეთ ინტერვიუ, რომელსაც მკითხველებს ვთავაზობთ.

— ქ-ნო თამარ, უნდა გკითხოთ, რა სიახლეებია თქვენს ცხოვრებასა და მოღვაწეობაში, რითი ცხოვრობთ, რაზე ფიქრობთ. რამდენიმე კითხვას დაგისვამთ.

— მზად ვარ გიპასუხოთ.

— რითია დაკავებული თქვენ მიერ დაფუძნებული საერთაშორისო როტარი კლუბი?

— „როტარი კლუბის თბილისის აკადემია“ დავაფუძნე 2009 წელს. მანამდე თითქმის 10 წლის განმავლობაში ვიყავი თბილისში ადრე არსებული როტარი კლუბის წევრი, რომელიც მისი ხელძღვანელობის უნიათობის გამო დაიხურა 2008 წელს. როტარი საქველმოქმედო სისტემაა, რომლის კლუბები ნაყოფიერად მუშაობენ მთელს მსოფლიოში აი, უკვე 108 წელია. თუ კლუბი არ ქმნის პროექტებს და არ ასრულებს ჰუმანიტარულ-საქველმოქმედო ფუნქციას, მისი არსებობა გაუმართლებელია. გადავწყვიტე შემექმნა კლუბი, რომელიც საქმით იქნებოდა დაკავებული, ქველმოქმედებით, სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარებით. ჩვენი კლუბი სწორედ ასე მუშაობს. ოთხ წელიწადში შევქმენით მრავალი პროექტი, დავამყარეთ კონტაქტები კლუბებთან საზღვარგარეთ. მათი დახმარებით შევიძინეთ წამლები 260 აფხაზი ბავშვისათვის და გადავაგზავნეთ აფხაზეთის მაღალმთიან სოფლებში; დავეხმარეთ საგურამოს ბავშვთა სახლს — აღვჭურვეთ მისი ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ცენტრი. გავუგზავნეთ ინგლისური ენის მასწავლებლები. სპონსორი იყო აშშ-ის ნებრასკის შტატის ერთ-ერთი კლუბი. გერმანული კლუბის დახმარებით გავარემონტეთ და აღვჭურვეთ თელავის ახალგაზრდული ცენტრი, დავეხმარეთ არასამთავრობო ორგანიზაციის „რე-ლაიფ“-ის ერთ-ერთ პროექტს დაკავშირებულს პროფესიულ სწავლებასთან.

გასულ სასწავლო წელს როტარი ინთერნეშენელმა და იგივე ნებრასკის კლუბმა დაასპონსორეს ჩვენი კლუბის სამენტორო პროექტი, რომლის მიზანი იყო დევნილი სტუდენტების დახმარება. 25 მენტორი — ვოლონტიორი (პროფესორები, აფხაზეთის მთავრობის წევრები, პარლამენტის და საგარეო უწყების და დიპლომატიური აკადემიის თანამშრომლები) მუშაობდნენ 60 დევნილ სტუდენტთან, ამზადებდნენ მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. აღრმავებდნენ მათ პროფესიულ ჩვევებს და საერთო ცოდნას. პროექტი დადებითად შეფასდა, რის შედეგადაც როტარის სათაო ორგანიზაციამ გამოყო თანხა პროექტის შემდგომი სტადიის განსახორციელებლად ახალ სასწავლო წელსაც, რაზედაც იანვრიდან ვმუშაობთ. სამმა შარშანდელმა სტუდენტმა დააარსა არასამთავრობო ორგანიზაცია „ დევნილი ახალგაზრდობა მოქმედებაში“, რომელიც შეასრულებს პროექტის ტექნიკურ-ლოჯისტიკურ ნაწილს. ახალი პროექტი ამჟამად მოიცავს თელავსაც . პროექტის მთავარი მიზანია, დაეხმაროს დევნილი სტუდენტების ინტეგრაციას ჩვენს საზოგადოებაში.

— შევეხოთ თქვენი საქმიანობის სხვა წახნაგს — რა ხდება თქვენს არაჩვეულებრივ სამხატვრო გალერეაში „თამარისი“?

— გალერეა მართლაც ხატოვანია — მის ლამაზ დარბაზში განთავსებულია მუდმივი და განახლებული ექსპოზიციები, მაგრამ ეს გალერეა არა მარტო ხელოვნების სავანეა, არამედ როტარი კლუბის და მისი სტუმრების ყოველკვირეული შეხვედრების ადგილი, პრეზენტაციების დარბაზი, ადგილი, სადაც იკრიბებიან საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების წევრები.

— მოგვიყევით ამ საზოგადოების შესახებ.

— საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოება დავაფუძნე 2009 წელს, მაგრამ ამ ქვეყნისადმი ინტერესი მქონდა ახალგაზრდობიდან, როდესაც ვკითხულობდი ჩინეთის შესახებ, ვაგროვებდი ჩინური ხელოვნების არტეფაქტებს, ვეცნობოდი ჩინეთის ისტორიას, ხელოვნებას, ლიტერატურას. ყოველივე ეს მოგვიანებით აისახა ჩემს ბინაში ჩინური ხელოვნების მუზეუმის შექმნაში , ჩინეთის საელჩოსთან მეგობრობაში, შემდეგ კი — საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების დაფუძნებაში.

— ვინ არიან ამ საზოგადოების წევრები, რა კეთდება ამ საზოგადოებაში?

— ამ საზოგადოების წევრები თავიანთი საქმიანობის ამა თუ იმ წახნაგით დაკავშირებულნი არიან ჩინეთთან, მის საგარეო პოლიტიკასთან, ეკონომიკასთან, ხელოვნებასა თუ სახალხო მედიცინასთან. პერიოდულად ვიკრიბებით, ვაცნობთ ერთმანეთს და სტუმრებს ჩვენს საქმიანობას, ვღებულობთ ჩინეთის ელჩებს და საელჩოს თანამშრომლებს. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა შედგა 2012 წ. სექტემბერში და მიეძღვანა საქართველო-ჩინეთის დიპლომატიური ურთიერთობების 20 წლისთავს. შემდეგი შეხვედრა ელჩთან შედგა 2013 წლის ივლისში, როდესაც ბატონ ჩენ ჯიანფუს გადავეცით დიპლომატიური აკადემიისა და საზოგადოებისაგან საპატიო დოქტორის დიპლომი.

— რას იტყვით დიპლომატიურ აკადემიაზე?

— მე დავაარსე ახალი საგანმანათლებლო სტრუქტურა — „დიპლომატიური აკადემია და სკოლა“, რომელშიც ხორციელდება არასტანდარტული პროგრამები. აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესი იმდენად ხისტია, მოთხოვნები ხშირად მკაცრი და არარეალიურია, რომ დიდი ხნით გწყვეტენ შემოქმედებით პროცესს. ხდები ამ მოთხოვნების მძევალი. ჩემი ახალი საგანმანათლებლო სტრუქტურა იმუშავებს ორ დონეზე — ბავშვებისათვის და მოზრდილი ადამიანებისათვის. ეს იქნება სხვადასხვა პროფესიული და ენობრივი კურსები, პოლიტიკური და ბიზნეს-კონსალტინგი და სხვ. ამ სტრუქტურაში მუშაობს დიპ. აკადემიის პროფესურა. ველით ყველა ასაკის და სპეციალობის მსურველებს. კურსები სხვადასხვა ხანგრძლივობისაა, მსმენელის დონისა და მიზნებიდან გამომდინარე, ჯგუფური ან ინდივიდუალური.

—პრესიდან მახსოვს, გალერეა „თამარისის“ გახსნას ესწრებოდნენ ელჩები და საელჩოების თანამშრომლები.

— დიახ, იყვნენ დიპლომატები ჩინეთის, იაპონიის, კანადის, ირანის, რუმინეთის, ესტონეთის საელჩოებიდან. მე საკმაოდ კარგად ვიცნობ საელჩოებს, დიპ.კორპუსს. ხშირად ვიწვევდი ელჩებს დიპ. აკადემიაში სტუდენტებთან შესახვედრად; რეკომენდაციას ვუწევდი ჩვენს კურსდამთავრებულებს სხვადასხვა საელჩოში სამუშაოდ ან სტაჟირებისათვის. ამჟამად ჩვენი კურსდამთავრებულები აშშ-ის, ყაზახეთის, ადრე — უკრაინის და სხვა საელჩოებში, ზოგიერთი უკვე ელჩის ან დესპანის თანამდებობაზეც მუშაობდა (ნ. ბარათაშვილი, გ. თევზაძე, გ. ქერდიყოშვილი, ნ. ჩალოევი, ა.მაისურაძე, მ. ბოჭორიშვილი და სხვ.). ბევრი სხვაც მუშაობს დიპ. მისიებში. ძალიან ვამაყობ მათით. სტუდენტებთან მუშაობა ყოველთვის იყო ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი. მე ახლაც არ ვკარგავ კონტაქტს კურსდამთავრებულებთან.

— როგორ ინარჩუნებთ ამ კონტაქტებს?

— 2005 წ. მე შევქმენი დიპ. აკადემიის კურსდამთავრებულთა ასოციაცია — პირველი ასეთი ასოციაცია საქართველოში. ვხვდებით პერიოდულად. მინდა ვაქციო ეს შეხვედრები ყოველწლიურად. ბოლო ასეთი შეხვედრა შედგა გასული წლის ნოემბერში. მე მიხარია კურსდამთავრებულების ნახვა. ვხედავ, რომ ასეთი შეხვედრები მათთვისაც მოვლენაა. ბევრი მათგანი ვერ ხვდება ერთმანეთს შუალედებში. ბოლო შეხვედრა შედგა გალერეა „თამარისში“. ავირჩიეთ კურსდამთავრებულთა ასოციაციის პრეზიდენტი, ვიცე- პრეზიდენტები, კურსების წარმომადგენლები. დაიწყეს მუშაობა საიტზე. მასალის ნაწილი დიპ. აკადემიის და გალერეის ფეისბუკებზეცაა.

— როგორ გყოფნით დრო ყველაფერზე? საიდან იღებთ ძალას?

— ბუნებით მე ოპტიმისტი ვარ და უქმად არასოდეს ვყოფილვარ. ყოველთვის მჯერა ნებისმიერი მცდელობის და შრომის დადებითი შედეგისა. შრომის გარეშე ადამიანი ადამიანი არ არის. შეუძლებელია ცხოვრობდე უსაქმობაში და წვრილმანი ინტერესებით. ცოდვაა ცხოვრობდე სხვებზე ზრუნვის გარეშე, არ ეხმარებოდე მათ, ვისაც დახმარება სჭირდება. ამ რწმენიდან აღმოცენდა როტარი კლუბიც და მრავალჯერადი დახმარება საზოგადოება „თემს“ (გრემში), მგზავრობა გრემში კლუბის ორ წევრთან ერთად და მრავალი სხვა.

— სხვა რა საზოგადოების წევრი ხართ?

— ორი წლის წინ გავწევრდი საერთაშორისო ქალთა ორგანიზაციაში. ეს საინტერესო ადამიანების კავშირია, რომლებიც ეხმარებიან ავადმყოფ ადამიანებს, საბავშვო ბაღებს, სხვა ორგანიზაციებს. წელს ამ ორგანიზაციამ პირველ ლედისთან ქ-ნ სანდრა რულოვსთან ერთად მოაწყო საქველმოქმედო სადილი აუქციონით; შემოსული თანხა გადაერიცხა ონკოლოგიისაგან განკურნებულ ქალთა ფონდს. პირველად ვნახე ჩემი სიძე კანადის კონსული კლიფ აიზეკი აუქციონის წამყვანის როლში. ნამდვილად ბრწყინვალე იყო. მოგვიანებით დამსწრენი ამბობდნენ — კლიფი რომ არა, ასეთი შემოსავალი არ იქნებოდაო. ჩემმა ქალიშვილმა და რძალმაც შეიძინეს ქართველი მხატვრების სამი სურათი, რითაც წვლილი შეიტანეს საქველმოქმედო აუქციონში.

— ვხედავ, თქვენს ოჯახში ყველანი ეწევით ქველმოქმედებას.

— დიახ. ეტყობა, მაგალითი გადამდებია.

— რას გეგმავთ მომავალში?

— ნამდვილად ვიცი, რომ ვიქნები დაკავებული როტარი კლუბით (სანამ კლუბის ახალგაზრდა წევრებს გადავცემ სათავეებს), გალერეით, დიპ. აკადემიით, მისი კურსდამთავრებულების ასოციაციით, საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოებით; ვიმუშავებ ქალთა საერთაშორისო ასოციაციაში. შეიძლება ახალი რამ შევქმნა კიდევ.

— რა?

— ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ, როდესაც რაიმე ახალს შევქმნი და ავამოქმედებ.

— არ შემიძლია არ ვახსენო ისიც, რომ თქვენი პორტრეტები მოთავსებულია დ.მდივნიშვილის ალბომებში, რომლებშიც ასახულია საქართველოს ულამაზესი ქალები.

— ამას, თქვენი ნებაბართვით, უკომენტაროდ დავტოვებ.

— გნებათ რაიმე უთხრათ მკითხველებს?

— კარგი აზრია. როტარი კლუბში ველით ახალ წევრებს, ისევე, როგორც დონორებს სამენტორო პროექტის მესამე ეტაპის განსახორციელებლად შემდეგ სასწავლო წელს. ამერიკელი სპონსორები ქართველი მეწარმეების და პროფესიონალების აქტიურობას ელიან სოციალურ-ჰუმანიტარული პროექტის განსახორციელებლად, რომლის ბენეფიციარები არიან დევნილი სტუდენტები.

კლუბის ტელეფონია 577 46 10 38, ელ-ფოსტა tamriko@mail.com

გთხოვთ, გამოგვეხმიანოთ!

◎ ალიან-ჩალიანი

სულ მალე პრეზიდენტის დაცვის სამსახური გაუქმდება

ალნიშნული სტრუქტურის ლიკვიდაცია 30 ოქტომბრამდე უნდა განხორციელდეს. ამ მიზნით, მთავრობისა და პრეზიდენტის წარმომადგენელთა შემადგენლობით სპეციალური კომისიაც შეიქმნება.

სამსახურის ლიკვიდაციას „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს, რომელიც თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელმა ირაკლი სესიაშვილმა მოამზადა. პროექტი პარლამენტში ინიცირებულია.

საქმე იმ სტრუქტურის ლიკვიდაციას ეხება, რომელიც სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ შეიქმნა. საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური პრეზიდენტიდან პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში გადავიდა.

„ქართული ოცნების“ ამ ნაბიჯს პრეზიდენტ საკაშვილის და მისი გუნდის მხრიდან სერიოზული პროტესტი და კრიტიკა მოჰყვა, რის შემდეგაც უმრავლესობამ უშუალოდ სააკაშვილის დაქვემდებარებაში ცალკე სტრუქტურის — პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახურის შექმნის გადაწყვეტილება მიიღო და ამ მიმართულებით კანონში შესაბამისი დამატებებიც შეიტანა.

აღნიშნულ სამსახურს პრეზიდენტის, მისი ოჯახის წევრებისა და პრეზიდენტის სარგებლობაში არსებული ობიექტების დაცვა უნდა უზრუნველეყო, თუმცა, ცალკე სამსახურის შექმნის გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილების და კანონის დონეზე დარჩა, რადგან რეალურად პრეზიდენტის ადმინისტრაციის ფარგლებში აღნიშნული ორგანო არ ჩამოყალიბებულა. ამასთან დაკავშირებით არაოფიციალურ საუბრებში ისიც ითქვა, რომ პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მისი დაცვის სამსახურის შექმნას იმ გარემოებამ შეუშალა ხელი, რომ სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა მასთან გადასვლაზე უარი თქვეს და ცალკე სამსახურის შექმნისთვის თანამშრომელთა საჭირო რაოდენობა ვერ შეგროვდა.

პარლამენტში ინიცირებული ახალი კანონ-პროექტის თანახმად, კანონიდან ყველა ის მუხლი ამოდის, რომელიც პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახურის არსებობას ითვალისწინებს. ასევე პროექტის თანახმად, პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახური 30 ოქტომბრამდე უნდა იყოს ლიკვიდირებული. მის უფლებამონაცვლედ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური განისაზღვრება.

გარდა ამისა, კანონში ცალკე პუნქტად იწერება, რომ პრეზიდენტს თანამდებობაზე არჩევის დღიდან სიცოცხლის ბოლომდე ენიშნება პერსონალური დაცვა — სამუშაო, მუდმივ და დროებით ადგილსამყოფელში. პრეზიდენტის უფლებამოსილების პერიოდში მისი ოჯახის წევრებს ენიშნებათ პერსონალური დაცვა და იგი შეუნარჩუნდებათ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგაც, მისი სიცოცხლის ბოლომდე.

ინტერპრესი

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექ-ტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქ-ციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არა უმეტეს 5 წლის ვადაში განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა, წყლის მარაგების დათვლა და შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებისთანავე ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); გ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე; ზემოაღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება; დ) უნდა განხორციელდეს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე; ე) ექსპლუატაციის პერიოდში უნდა განხორციელდეს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; ვ) სალიცენზიო ობიექტზე სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით უნდა განხორციელდეს წყაროს შემოღობვა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია განახორციელოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; თ) მოპოვებული მინისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ი) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ღუქის დადებას; კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცილით ან მის გარეშე; ლ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; მ) ღუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციად. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. კობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის (წყარო) შესწავლა-მოპოვება
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. კობის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეკ თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 13 სექტემბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბრის დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 15 ოქტომბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბრის დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 2		

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არა უმეტეს 5 წლის ვადაში განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა, წყლის მარაგების დათვლა და შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებისთანავე ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); გ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე; ზემოაღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება; დ) უნდა განხორციელდეს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე; ე) ექსპლუატაციის პერიოდში უნდა განხორციელდეს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; ვ) სალიცენზიო ობიექტზე სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით უნდა განხორციელდეს წყაროების შემოღობვა და მათი მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია განახორციელოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; თ) მოპოვებული მინისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ი) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ღუქის დადებას; კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცილით ან მის გარეშე; ლ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; მ) ღუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციად. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. კობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მინერალური წყლის (სამი წყარო) შესწავლა-მოპოვება
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. კობის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეკ თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 13 სექტემბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბრის დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 15 ოქტომბრის დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბრის დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 3		
ბუნებრივი რესურსებით		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

	სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზია
5	საليცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არა უმეტეს 2 წლის ვადაში განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა, წყლის მარაგების დათვლა და შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებისთანავე ლიცენზიის გაცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); გ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადახედოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე; ზემოაღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ ლიცენზიანტი უფლებამოსილია, განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება; დ) უნდა განახორციელდეს მონიტორინგული დაკვირვებები წყლის დებიტზე, ტემპერატურასა და ქიმიურ შემადგენლობაზე; ე) მარაგების დამტკიცების შემდეგ ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია განახორციელოს საჰადოს სანიტარული ზონების დადგენა და დაცვა; ვ) ექსპლუატაციის პერიოდში უნდა განხორციელდეს მუდმივი ჰიდროქიმიურ-რეჟიმული დაკვირვებები და სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური კონტროლი; ზ) საليცენზიო ობიექტზე სანიტარული ზონის დაცვის მიზნით უნდა განხორციელდეს ჭაბურღილების გარშემო ტერიტორიის შემოღობვა; თ) ჭაბურღილების მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს ზედაპირის გაუწყლოვანება სადრენაჟე არხების მოწყობით; ი) მიმოქცეული მიწისქვეშა მინერალური წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცვას მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; კ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის მესაზებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობის უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის
		დადებას; ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მინერალური წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; მ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ნ) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმოროლობის მოწესრიგება, ხოლო თვითდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; პ) დაცული იქნეს საქართველოს კანონმდებლობით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფანშეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მინერალური წყლის (ჭაბ.№2, 3 და 4) შესწავლა-მოპოვება
7	საليცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფ. ფანშეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი საليცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 13 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 15 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველო პრეზიდენტის არჩევნებისთვის ემზადება

აშშ-ის საუწყებათაშორისო დელეგაცია საქართველოში წინასაარჩევნო სიტუაციის შეფასებისთვის ჩადის

პრეზიდენტის არჩევნების წინა პერიოდში, რომელიც 27 ოქტომბრისთვისაა გათვალისწინებული, საქართველოში ვიზიტით იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების საუწყებათაშორისო დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის საკითხებში თომას მელია. ვიზიტი მიმდინარეობდა 10-დან 12 სექტემბრამდე და მიზნად ისახავდა საქართველოში წინასაარჩევნო სიტუაციის შეფასებას. დაგეგმილი იყო დელეგაციის წევრების შეხვედრები საქართველოს ხელმძღვანელობის, პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო ადმინისტრაციის, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობის თანახმად, შეხვედრებზე მხარეები განიხილავდნენ საარჩევნო პროცესის მნიშვნელობას სამართლიან, მიუკერძოებელ და გამჭვირვალე ვითარებაში.

„უფრო ღია გარემო“

საერთაშორისო წინასაარჩევნო დელეგაციის განცხადების თანახმად, რომელიც მოაწყო ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა ქვეყნის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, შარშანდელთან შედარებით საქართველოში წინასაარჩევნო გარემო გახდა „უფრო ღია“.

„ოქტომბრის პრეზიდენტის არჩევნებს საქართველო ხვდება საარჩევნო გარემოში, რომელიც ემყარება დემოკრატიის ფუნდამენტურ პრინციპებს. ეს პრინციპებია: ხელისუფლების გადაცემის პირველი პრეცედენტი არჩევნების გზით; ძლიერი პოლიტიკური ოპოზიცია; პარლამენტი, რომელსაც ახასიათებს შინაარსიანი დებატები და გადაწყვეტილებანი; სასამართლო დამოუკიდებლობის უფრო მაღალი დონით; აქტიური სამოქალაქო საზოგადოება; და ცოცხალი მედიაგარემო“, – ნათქვამია 6 სექტემბერს გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ამავე დროს, პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებთან საუბრების დროს გამოთქმულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, დელეგაცია აღნიშნავს, რომ საქართველოში კვლავ რჩება ზოგიერთი პრობლემური საკითხი.

„თუ საქართველო გამართავს არჩევნებს, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ისარგებლებს საზოგადოების ნდობით, ეს ხელს შეუწყობს დემოკრატიული კულტურის განვითარებას, რომელიც ემყარება თანმიმდევრულ პრინციპებსა და პროგნოზულ წესებს. ეს იქნება რეგიონში განსაკუთრებული მიღწევა“, – აღნიშნა დელეგაციამ თავის განცხადებაში.

„მნიშვნელოვანი შეფასებები“

ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან უზარმაზარი მხარდაჭერისა და თანამშრომლობის გათვალისწინებით, საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების საქართველოს ფონდის ხელმძღვანელი, პროფესორი ალექსანდრე რონდელი მიიჩნევს „ლოგიკურად“ და ამავე დროს „პოზიტიურად“ იმას, რომ დელეგაცია, რომელიც შედგება ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი რანგის წარმომადგენლებისგან, ეწვია საქართველოს წინასაარჩევნო პერიოდში.

რონდელის თანახმად, შარშან ხელისუფლების შეცვლასთან ერთად ქვეყნის სტრატეგიული მიზნები არ შეცვლილა და ამჟამინდელი ხელისუფლება ყურს უგდებს დემოკრატიული ქვეყნების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის სახელმწიფოების აზრს. ამავე დროს, განსხვავებით საქართველოს წინა ხელისუფლებისგან, მიაჩნია ექსპერტს, „შეიცვალა ტაქტიკა“ რუსეთთან დამოკიდებულებაში და მმართველი კოალიცია ავლენს მეტ ღია მცდელობას რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობათა მოწესრიგებისთვის. თუმცა, არჩევნების გამართვის თვალსაზრისით, ამბობს პოლიტოლოგი, თბილისი ძნელად რომ დააინტერესოს რუსეთის გამოცდილებამ.

„უკეთესი, ვიდრე წინა არჩევნები“

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელი და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების ინტეგრაციის საკითხებზე სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე ელისო ხოშტარია მიიჩნევს, რომ საქართველოსთვის მთავარი ამოცანა – ესაა იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველი არჩევნები იყოს „უკეთესი, ვიდრე წინა“

„ამერიკის ხმის“ რუსეთის სამსახურის კორესპონდენტთან საუბარში ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ, მართალია, ერთი წლის განმავლობაში გადაწყდა მთელი რიგი ძველი პრობლემა, მიუხედავად ამისა, ამჟამად გაჩნდა სხვა საკითხები, რომლებიც, მისი სიტყვებით, უარყოფით გავლენას ახდენს წინასაარჩევნო გარემოზე...

ხოშტარია ასევე მიიჩნევს **„ნეგატიურ ფაქტორად“ წინასაარჩევნო გარემოსთვის საქართველოს პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ამასწინანდელ განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი წავა პოლიტიკიდან პრეზიდენტის არჩევნებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ. „ასეთი განცხადებები გავლენას ახდენს პოლიტიკურ ძალთა განლაგებაზე, შეაქვთ გარკვეული ქაოსი და ადამიანებს უქმნის წინასაარჩევნო პროცესში გაურკვევლობის გრძნობას“,** – განაცხადა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ.

„მიუხედავად ამისა, მთლიანად, არაფერი დრამატული არ ხდება, ყველა პრობლემის გადაჭრა შეიძლება და დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ წინ წავიწიოთ. მიმაჩნია, რომ საქართველოს აქვს შანსი, მოაწყოს კიდევ ერთი ნორმალური არჩევნები“, – ასკვნის ქალბატონი ხოშტარია.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ეთიოპიაში ხანდაზმული ადამიანი ამტკიცებს, რომ იგი სულ ცოცხა 160 წლისაა

ყოფილი ფერმერი, ამჟამად კი პენსიონერი ჯაკაბო ება ამბობს, რომ მოესწრო იტალიის ეთიოპიაში შეჭრას 1895 წელს. თუმცა, არანაირი დოკუმენტი დაბადების მოწმობისა, რომელიც დაადასტურებდა მის სიტყვებს, არ გააჩნია. ასეთი დოკუმენტის ქონა ებას გახდიდა ყველაზე მოხუცად დედამიწაზე მცხოვრებთა და საერთოდ, როდესმე მცხოვრებთა შორის.

ობამამ შეიძლება თვენახევრითგადადოს სამხედრო ოპერაცია სირიაში რუსეთის ინიციატივის გამო

გაზეთ „კომერსანტის“ წყაროების მონაცემებით, ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა გადაწყვიტა, სთხოვოს პრეზიდენტს, გადადოს ძალოვანი ოპერაციის დაწყება სირიაში სულ ცოტა თვენახევრით. ამავე დროს კონგრესმა კენჭი უნდა უყაროს რეზოლუციას, რომელიც პრეზიდენტს აძლევს უფლებას, გამოიყენოს სამხედრო ძალა სირიის წინააღმდეგ კანონმდებლებთან დამატებითი კონსულტაციების გარეშე.

ისრაელმა მხარი დაუჭირა რუსეთის ინიციატივას დამასკოს ქიმიური განიარაღების შესახებ

„არ შემიძლია ვთქვა, რომ მთლიანად დარწმუნებული ვართ, მაგრამ თუ რუსეთის წინადადება მიგვიყვანს ქიმიური იარაღის ლიკვიდაციამდე სირიაში, ეს გაგვიხსნის გზას ტრაგედიის დასასრულისკენ, საფრთხის თავიდან აცილებისკენ“, – განაცხადა სტრატეგიული საკითხებისა და დაზვერვის საქმეთა საერთაშორისო ურთიერთობათა მინისტრმა იუვალ შტაინიცმა.

გამოქვეყნდა გაეროს მოხსენება უცხოელი მიგრანტების რაოდენობის შესახებ – ლიდერებს შორის არიან აშშ და რუსეთი

დოკუმენტის თანახმად, მიგრანტების არმიის ყველაზე სწრაფი ზრდა შეინიშნება აზიაში, ამერიკის შეერთებული შტატები კი ძველებურად ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა გასტარბაიტერებისთვის. გამოქვეყნებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ მიგრანტები 232 მილიონ კაცს შეადგენს – ეს დედამიწის მოსახლეობის 3,2 პროცენტია.

◎ მართლაც დროული

დაფუძნდა საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაცია

სპორტინსა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ვეტერანმა და მოქმედმა ფეხბურთელებმა და ადვოკატებმა პრესკონფერენცია გამართეს და „საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაცია“ დაა-ფუძნეს, რომლის უმთავრესი მიზანი ფეხბურთელის უფლებების დაცვა იქნება.

„საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაციის“ ძირითადი მიზნებია:

1. საზოგადოებაში „ფეხბურთელის“, როგორც პროფესიის პოპულარიზაცია.

2. ფეხბურთელების (მათ შორის, ყოფილი ფეხბურთელების) უფლებების დაცვა, რაც აგრეთვე მოიცავს მათი ინტერესების დაცვას ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე და ამ მიზნით ფეხბურთელების წარმომადგენლობას საფეხბურთო კლუბებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან ურთიერთობაში, მათ შორის სფფ-ში, UEFA-სა და FIFA-ში, ასევე ნებისმიერ სასამართლოსა თუ არბიტრაჟში.

3. ფეხბურთელების განათლებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

4. ფეხბურთელების ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ), საქართველოს მთავრობისა თუ საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში მაქსიმალური ჩართულობა და ფეხბურთში არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ადგილობრივ დონეზე დამკვიდრების ხელშეწყობა.

5. საქართველოს საგამოძიებო ორგანოებთან და სფფ-სთან აქტიური თანამშრომლობის გზით გარიგებული თამაშების წინააღმდეგ ბრძოლა და ამ საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირის პასუხისმგებლობის მოთხოვნა.

ასოციაციას აქვს „პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის“ – International Federation of Professional Footballers' Associations (FIFPRO) საერთაშორისო მხარდაჭერა. ასოციაციაში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ ფეხბურთელს 14 წლის ასაკიდან, რისთვისაც საჭიროა განცხადების წარდგენა ზეპირი თუ წერილობითი გზით. ასოციაციის დამფუძნებელი წევრები არიან: ბესარიონ აბაშიძე, იმედა დვალიძე, ზვიად კორძაძე, ლექსო ინწკირველი, ზურაბ ხიზანიშვილი, გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი.

გიორგი შოთაძე

◎ კალათბურთი

ევრობასკეტ-2013 განახლდა

ერთდღიანი პაუზის შემდეგ ევრობასკეტ-2013 სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანას „სტოჟიცე-არენაზე“ ჩატარებული 3 მატჩით განახლდა. მეორე ჯგუფურ ეტაპზე პირველი გამარჯვება იზეიმა ლატვიელთა ახალგაზრდულმა გუნდმა, სერბები კი F ჯგუფში ქულათა მაქსიმუმით ლიდერობენ და „ცალი ფეხით“ მეოთხედფინალში არიან.

F ჯგუფი

ლატვია – უკრაინა 85:51 (24:11, 18:11, 23:10, 20:19).

ლატვია: იანიჩენოკსი (14ქ), კუკსიკსი (13ქ), მეიერსი (11ქ, 10მ), სტრელნიეკსი (8ქ, 7მ), მეიერისი (8ქ), ბერტანში (7ქ, 7პ), კასპარს ბერზინსი (6ქ), ბლუმსი (6ქ), შკელე (6ქ), სელაკოვსი (4ქ, 5მ), იანის ბერზინსი (2ქ), ფრეიმანისი.

მწვრთნელი: აინარს ბაგატსკისი.

უკრაინა: გლადირი (12ქ), კრავცოვი (7ქ, 6მ), ჯეტერი (7ქ), პუსტოვოი (6ქ), პუსტოზვონოვი (6ქ), მიშულა (5ქ, 4პ), ზაიცევი (4ქ, 5მ), კორნიენკო (3ქ), ნატიაჟკო (1ქ), გლებოვი, ზაბირჩენკო, ლიპოვოი.

მწვრთნელი: მაიკ ფრატელო.

ლატვიელები მეორე ჯგუფურ ეტაპზე 2 მარცხით გადავიდნენ, ამიტომაც მეოთხედფინალში გასვლის შანსის შესანარჩუნებლად ბალტიისპირელებს უკრაინელებთან მხოლოდ და მხოლოდ მოგებაზე ზრუნვა მართებდათ. აინარს ბაგატსკისმა, რომელიც შარშან „სოხუმს“ ავარჯიშებდა, გუნდის სათანადო ფსიქოლოგიურად მომზადებაც მოახერხა და ლატვიელებმა ლამის პირველსავე პერიოდში გადაწყვიტეს მატჩის ბედი. ჩრდილოელთა დამრიგებელი თავიდანვე აქტიურად მიმართავდა საშემადგენლო როტაციას. საწყის მეოთხედში ლატვიელთაგან ქულები ერთბაშად 9 კალათბურთელმა მოაგროვა. მთელი მატჩის განმავლობაში უკრაინელებს ტყორცნათა სიზუსტემაც უმტყუნა (ორქულიანების რეალიზაციის პროცენტმა 29.5, ხოლო სამიანებისა 18.8 პროცენტი შეადგინა) და სწორედ ეს გახლდათ უმთავრესი ფაქტორი შავიზღვისპირელთა მარცხისა. ლატვიელებმა 29 სამქულიანიდან 15 ჩააგდეს.

„ჩვენი მიზანი აგრესიული და დაცვაში ზუსტი თამაში იყო. ეს ამოცანა წარმატებით შევასრულეთ და შემდეგ შეტევაშიც ვივარგეთ“, – განაცხადა ნამატჩევს ლატვიელთა თავკაცმა. ბაგატსკისის გუნდი მომდევნო მატჩს დღეს ფრანგების წინააღმდეგ ჩაატარებს.

ბელგია – სერბეთი 69:76 (18:19, 18:21, 15:14, 18:22).

ბელგია: მუკუბუ (16ქ, 6მ, 3პ), ბეგინი (12ქ), ვან როსომი (12ქ), ერველი (8ქ, 9მ), მასო (7ქ), მოორსი (5ქ), დე ზეუვი (4ქ), ტაბუ-ებომა (3ქ, 3პ), მუია (2ქ), მვემა.

მწვრთნელი: ედი კასტელსი.

სერბეთი: კრსტიჩი (17ქ, 5პ, 2დ), მარკოვიჩი (15ქ, 3პ), ბოგდანოვიჩი (12ქ, 5მ), კალინიჩი (9ქ, 5მ), ბიელიცა (7ქ, 8მ, 3პ), კატიჩი (7ქ), მიჩიჩი (5), გაგიჩი (2ქ), ნედოვიჩი (2ქ), ანჯუშიჩი.

მწვრთნელი: დუშან ივკოვიჩი.

წინა შეხვედრისგან განსხვავებით, ბელგიელთა და სერბთა დაპირისპირებაში გამარჯვებული მეოთხე პერიოდში გამოვლინდა. მესამე მეოთხედში ბენილუქსელები 51:48 დაწინაურდნენ, რასაც 2 პერიოდის გზაგასაყარზე ბალკანელებმა 13:1 „აქცევა“მიაყოლეს და მას შემდეგ მოყოლებული მატჩის ფინალამდე სოლიდური დისტანციით წინ იყვნენ. სერბთაგან საუკეთესო მეფარე ნენად კრსტიჩი იყო, რომელმაც შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა: „ძალიან ახალგაზრდული გუნდი გვყავს, ამიტომაც მატჩის მსვლელობისას არასტაბილური თამაში გასაკვირი არაა. ამასთან, პარტნიორებს ვაჟკაცური და თავდადებული პაექრობისთვის მადლობა უნდა გადავუხადო. კარგად მართავს სიტუაციას ჩვენი დამრიგებელიც“.

ლიტვა – საფრანგეთი 76:62 (16:10, 16:17, 19:15, 25:20).

ლიტვა: სეიბუტისი (15ქ), ვალანჩუნასი (13ქ, 6მ), კლეიზა (11ქ, 7მ, 3პ), კუზმინსკასი (10ქ), კალნიეტისი (8ქ, 7პ, 6მ), პოციუსი (7ქ), ლავრინოვიჩი (4ქ), იავტოკასი (4ქ), მაციულისი (3ქ), მოტეიუნასი (1ქ), დელინინკაიტისი.

მწვრთნელი: იონას კაზლაუსკასი.

საფრანგეთი: დე კოლო (12ქ), პარკერი (11ქ), აჟინკა (10ქ, 6მ), ბატუმი (8ქ, 6მ, 2დ), დიაო (7ქ, 6პ), ჟელაბალი (7ქ, 2დ), პეტრო (4ქ), ლაუვერნიე (3ქ), კაუდი, პიეტრუსი.

მწვრთნელი: ვინსენ კოლე.

ლიტველებთან მოგების შემთხვევაში ფრანგები მეოთხედფინალში ვადაზე ადრე გადიოდნენ და თან სერბებსაც „გაიყოლებდნენ“, მაგრამ მოვლენათა ამგვარ განვითარებაზე ყაბულს კაზლაუსკასის გუნდი არ იყო. ბალტიისპირელებმა თავიდანვე იგდეს ხელთ ინიციატივა, ანგარიშშიც სოლიდურად დაწინაურდნენ და მიუხედავად ფრანგთა პერიოდული მცდელობისა, საქმე დამაჯერებელ მოგებამდე მიიყვანეს.

1. სერბეთი	3	3/0	219/196	6
2. ლიტვა	3	2/1	199/184	5
3. საფრანგ.	3	2/1	221/212	5
4. ლატვია	3	1/2	215/198	4
5. უკრაინა	3	1/2	180/219	4
6. ბელგია	3	0/3	191/216	3

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

ქართული წვლილი

საფრანგეთის მორაგბეთა ნახევრადპროფესიულ „ფედერალ 1“-ის ახალი სეზონის პირველ ტურში ქართველმა ლეგიონერებმა 22 ქულა ჩაიწერეს, მაგრამ ეს მათი გუნდების უმეტესობისთვის გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ქულები ეროვნული გუნდის წევრების ანგარიშზეა – თედო ზიბზიბაძემ ლელო გაიტანა, მერაბ კვირიკაშვილმა – ჯარიმა და გარდასახვა, ხოლო ლაშა მალაღურაძემ – ოთხი ჯარიმა. შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის რანგით მესამე დივიზიონში 40 გუნდი ოთხ ჯგუფადაა დაყოფილი და რეგულარული პირველობის დასრულების შემდეგ თითოეული ჯგუფის ოთხ-ოთხი საუკეთესო ბრძოლას პლეი-ოფებში, პრო 32-ში ასასვლელი ორი საგზურისთვის აგრძელებს.

I ჯგუფში ქართველი ლეგიონერების ხუთი გუნდია. სადებიუტო მატჩში დავით აშვეთიას, დავით დადუნაშვილის, არჩილ კობაურის, ელიზბარ ყუფარაძის და შალვა სუთიაშვილის „მასიმ“ ბაჩუკი გუჯარაიძის „სენტ-ნაზერი“ სტუმრად 50:21 დაამარცხა და პრემიალური ქულაც ჩაიწერა. მასპინძელთა მეორეხაზელი გუჯარაიძე სასტარტო შემადგენლობაში იყო და საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე შეცვალეს. „მასის“ ძირითადში მოხვდნენ პირველხაზელი აშვეთია, რომელიც 59-ე წუთზე ელიზბარ ყუფარაძემ შეცვალა და მესამეხაზელი სუთიაშვილი, რომელმაც მოედანზე 69 წუთი გაატარა.

შოთა საყვარელიძისა და გიორგი ტორაძის „სენ-ჟენმა“ „კოგნასი“ 19:15 დაამარცხა. მესამეხაზელმა საყვარელიძემ პირველიდან 57-ე წუთამდე ითამაშა. თემურ გელანტიასა და რევაზ გიგაურის „მონლიუსონი“ საკუთარ მოედანზე „ნევერთან“ 6:21 დამარცხდა. ორივე ქართველი ლეგიონერი სათადარიგოთა შორის იყო და გელანტია თამაშში 57-ე, ხოლო გიგაური 72-ე წუთიდან ჩაერთო. „ლილთან“ საკუთარ მოედანზე 11:19 დამარცხდა ირაკლი ნინიძის „დიჟონი“. ქართველი პირველხაზელი სასტარტო შემადგენლობაში იყო და შესვენებისას შეცვალეს.

II ჯგუფში გიორგი კუთარაშვილის „ანესი“ ავთო კოპალიანის „მაკონის“ დაუხვდა და 14:10 იმარჯვა. ქართველი პირველხაზელები პირველივე წუთებიდან ერთმანეთის პირისპირ იდგნენ და კუთარაშვილმა მე-40 წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო, ათწუთიანი სასჯელის ვადის გასვლის შემდეგ კი მოედანზე აღარ დაბრუნებულა. კოპალიანი 53-ე წუთზე შეცვალეს.

მერაბ კვირიკაშვილისა და რეზო პეტრიაშვილის „ვიენი“ „ექსან-პროვანსთან“ შინ 10:24 დამარცხდა. კვირიკაშვილმა სრულად ითამაშა და მე-7 წუთზე ჯარიმით ანგარიში გახსნა, ხოლო 21-ზე გარდასახვა შეასრულა და გუნდი 10:3 დაწინაურა, მაგრამ ეს საერთო წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. პეტრიაშვილი განაცხადში არ იყო.

საბა ქართველიშვილის „შამბერიმ“ „რომანს“ 24:20 სძლია. ქართველი ლეგიონერი თამაშში 66-ე წუთიდან ჩაერთო, როდესაც მისი გუნდი 14:20 აგებდა და ამის შემდეგ მასპინძლებმა ლელო, გარდასახვა და ჯარიმა გაიტანეს. გიორგი ჯიმშიტაშვილის გარეშე „შალონი“ „ობნასთან“ 20:22 დამარცხდა.

III ჯგუფში თედო ზიბზიბაძის, გიორგი გაბელიასა და ნიკოლოზ მაღალდაძის „პერიგო“ სტუმრად „ლორმონს“ დაუზავდა – 22:22. ზიბზიბაძემ სრულად ითამაშა და 43-ე წუთზე ლელო გაიტანა, რასაც ზუსტი გარდასახვა მოყვა და ჩამორჩენა 3 ქულამდე შემცირდა. მაღალდაძე განაცხადში არ იყო, ხოლო გაბელია თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო.

გიორგი ტალახაძის „როდეზი“„ლიმოჟს“ქართველი ლეგიონერის გარეშე ეწვია, 22:29 დამარცხდა და პრემიალურ ქულას დასჯერდა. ნიკოლოზ გიორგაძის „ჰიუნდაი“ „ლანგონთან“15:26 დამარცხდა. ქართველი პირველხაზელი თამაშში 48-ე წუთიდან ჩაერთო და 7 წუთში მისი გუნდი ორი გატანილი ჯარიმით 15:13 დაწინაურდა, მაგრამ დარჩენილ დროში ქულები მხოლოს სტუმრებმა აიღეს.

IV ჯგუფში ლაშა მალაღურაძემ საკუთარი გუნდის 12-ივე ქულა ჩაიწერა, მაგრამ მისი, სიმონ მაისურაძის, გიორგი მჭედლიშვილის და ბექა ურჯუკაშვილის „ბანიერი“ „ოლორონთან“ მაინც დამარცხდა – 12:18. მასპინძელთა შემადგენლობაში ოთხივე ქართველმა ითამაშა – მალაღურაძემ მგეზავად და ურჯუკაშვილმა გარემარბად სრულად იბრძოლეს, პირველხაზელი მჭედლიშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 52-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო მაისურაძე მოედანზე 43-ე წუთიდან გამოჩნდა.

მიხეილ გაჩეჩილაძის „აჟეტმომ“ „ლანემეზანს“ უმასპინძლა და 6:18 დამარცხდა. ქართველი ლეგიონერი სასტარტო შემადგენლობაში იყო და 73-ე წუთზე შეცვალეს.

„ფედერალ 1“-ის მომდევნო ტურის თამაშები 14-15 სექტემბერს გაიმართება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

კაცია და გუნება

კოლინ რუნისთანა ლამაზი ცოლი გყავდეს და შონ რაიტ-ფილიპსს ეხვეოდე – ასეთი ამბავი ბრიტანელ პაპარაცებს შეუმჩნეველი, რა თქმა უნდა, არ დარჩებათ...

ბრიტანულმა ტაბლოიდმა „სანმა“ ამას წინათ მეტად ღიმილისმომგვრელი ფოტო გამოაქვეყნა, სადაც საცურაო აუზთან უეინ რუნი, მისი ცოლი კოლინ რუნი და „ქუინზ პარკ რეინჯერსის“ ფერადკანიანი ფეხბურთელი შონ რაიტ-ფილიპსი არიან გადაღებულები.

როგორც ფოტოზე ვხედავთ, უეინი და შონ რაიტ-ფილიპსი ერთმანეთს ეხვევიან და ამ მწყაზარ სცენას რუნის ცოლი ირიბად „უყურებს“. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ერთგვარი ფოტოხაფანგია და აღნიშნული ფოტო მხოლოდ იუმორისტულ ჭრილში უნდა განვიხილით, მით უმეტეს – ქართველებმა. ჩვენთან ხომ შემთვრალი მამაკაცების ხვევნა-კოცნა ჩვეულებრივ ამბად ითვლება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ვაიმე, ენავ!

რუბრიკას უძღვება მურმან თავდიშვილი

ერთი საღამოს სატელევიზიო გადაცდომები

საღამოობით ახალი ინფორმაციის მისაღებად ცოტა ხნით ტელევიზორსა ვრთავ ხოლმე. ასე იყო იმ დღესაც. პირველი არხი, „იმედი“, „რუსთავი-2“ „გადავათვალიერე“. სულ რაღაც ათიოდე წუთში, სამწუხაროდ, ფრიად უხვი საკრიტიკო მასალა მოვიპოვე, აი, ისიც:

პირველ არხს ისევ ისე ჯიუტად აწერია: „ერთად ერთ არხზე“, დიახ, პირველი ერთადერთი არხია, სადაც ამგვარ შეცდომას ვერავინ ამჩნევს. არადა, „საქართველოს რესპუბლიკის“ საშუალებით არაერთხელ გავაკრიტიკე და მივუთითე, რომ **ერთადერთი** ერთ სიტყვად იწერება, მაგრამ, შეაყარე კედელს ცერცვი!

და აქ ძალა ეძლევა ჩემს აფორიზმს.: კაცმა, შეიძლება, რაიმე იცოდეს სუსტად, მაგრამ, რაც არ იცის, არ იცის ძალიან მაგრად.

როგორცა ჩანს, პირველი არხის თანამშრომლებმა მაგრად არ იციან თავიანთი „ყელმოღერებული“ შეცდომის ამბავი.

იმავე არხის გადაცემაში გახმიანდა ფრაზა — „ქვეყანა რომის მმართველობის ქვეშ მოექცა“.

„მმართველობის ქვეშ“ რუსულის კალკია, ქართულია „მმართველობაში მოექცა“.

„გვაჯახეს“ სტილისტურად ბუნდოვანი წინადადებაც: „თუმცა **ნამდვილად** არ ვიცი, რისთვის არსებობდა ეს ოთახი“.

გამოუვიდათ იმისი საპირისპირო, რისი თქმაც ეწადათ. სურდათ კი სხვა აზრის გამოხატვა: „თუმცა **დანამდვილებით** არ ვიცით, რისთვის არსებობდა ეს ოთახი“.

ვხედავთ: მოუვიდათ მძიმე სტილისტური მარცხი!

„რუსთავი-2“: „მისი გენიალურობა იმაში მდგომარეობდა“. უნდა ყოფილიყო ამგვარად: „მისი გენიალურობა იმით გამოიხატებოდა“ ან კიდევ: „მისი გენიალურობა ის იყო“.

მეორე ლაფსუსი: „იყო ნათქვამი ბევრი ტყუილი“.

რა საჭიროა სიტყვათა სიჭარბე, როცა შეიძლება „ნამდვილქართულად“ და მოკლედ ითქვას: „ბევრი ტყუილი თქვეს“.

ვერც „იმედისეულ“ ამ ფორმას მივესალმებით: „შეკრება მიდიოდა ხმაურიან რეჟიმში“.

მსგავსი „ლაფსუსი“ ყველას მოსდის, უნდა ყოფილიყო „ხმაურიანი რეჟიმით“. უმჯობესი კი ეს ფორმა იქნებოდა: „შეკრება ხმაურიანი გამოდგა“ („შეკრებამ აურზაური გამოიწვია“).

მკითხველმა წარმოიდგინოს:

თუ ათ-თხუთმეტ წუთში ამდენი შეცდომა დავაფიქსირე (ყველას ჩაწერა ვერ მოვასწარი), რამდენ უსახურ, გაუმართავ, შერყვნილ სიტყვას, სიტყვათშეთანხმებასა და წინადადებას ვაწვდით ხალხს, რა უხვად ვაფრქვევთ უწიგნურობის ბაცილას.

უნდა გვახსოვდეს:

ტელევიზიას ბევრი უსმენს და უყურებს. ამიტომ მეტიც მოეთხოვება.

◎ ინფორმაცია

აღმოსავლეთ საქართველოში გრილი ამინდი შენარჩუნდება

როგორც „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში ჰიდრომეტეოროლოგიური კვლევის ცენტრის მონიტორინგისა და პროგნოზირების სამსახურის უფროსმა სვეტა ნიორაძემ განაცხადა, შედარებით გრილი ამინდი შენარჩუნდება თბილისშიც.

მისივე განმარტებით, მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს მთელს ტერიტორიაზე კარგი ამინდი იქნება, განსაკუთრებით მოიმატებს ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში, სადაც ჰაერი 34 გრადუსამდე გათბება.

„საქართველოს მასშტაბით უახლოეს პერიოდში თბილი ამინდია მოსალოდნელი. აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერი 25 გრადუსამდე გათბება“, — განაცხადა სვეტა ნიორაძემ.

◎ წურბელები

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სოციალური მომსახურების სააგენტომ ბაზაში მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახები აღმოაჩინა, რომლებიც „გაჭირვებულ მოსახლეთათვის“ განკუთვნილ დახმარებებს იღებდნენ. ჯერ კიდევ 2013 წლის გაზაფხულზე შემოსავლების სამსახურის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე საარსებო შემწეობა 18 ათასამდე ოჯახს შეუჩერდა ან შეუწყდა. მათგან შემწეობის აღდგენის მოთხოვნით სააგენტოს 70 პროცენტმა მიმართა. ხელახალი გადამოწმების შემდეგ დახმარება 5 ათას ოჯახს აღუდგა... ვიდრე ოჯახებს შემწეობები შეუჩერდებოდათ ან შეუწყდებოდათ, სოციალური სამსახურების სააგენტომ ინფორმაციები გამოითხოვა შსს-დან, შემოსავლების სააგენტოდან და საჯარო რეესტრიდან. მიზანი იყო, გაერკვიათ, ვის ჰყავდა ახალი მანქანა, ინფორმაციის მიღება უძრავი ქონების შესახებ, შემოსავლების შესახებ... გაირკვა, რომ დახმარებაშეწყვეტილთა დიდ არმიას ჰყავდა ახალი მანქანები, ჰქონდა იპოთეკით დატვირთული ბინები და, რაც მთავარია, იღებდნენ სოლიდურ ხელფასს.

ყოფილი ხელისუფლების დეკიზი — დახმარებები პოლიტიკური ნიშნით

მაშინ, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის 70 პროცენტი საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, სააკაშვილის ბანდა თვლიდა, რომ დახმარებას საჭიროებდნენ ერთი ინდმეწარმე, რომლის წლიური ბრუნვა ერთ მლნ. ლარზე მეტია. 4 ინდმეწარმე 500 ათასიდან 1 მლნ ლარამდე წლიური ბრუნვით. 3 მეწარმე 300 ათასიდან 500 ათასამდე წლიური ბრუნვით. 4 მეწარმე 250-300 ათასამდე ლარის შემოსავლით. 7 მეწარმეს ჰქონდა 200-250 ათას ლარამდე წლიური ბრუნვა. 4-ს ჰქონდა 100 ათასიდან 200 ათას ლარამდე წლიური ბრუნვა. 88-ს კი — 50-100 ათასამდე წლიური ბრუნვა. 275 ინდმეწარმის წლიური ბრუნვა 50-100 ათასამდე იყო და ა. შ. აცხადებს სოციალური მომსახურების სააგენტო.

სააგენტოს ხელმძღვანელი ნოე ქინქლაძე აცხადებს, რომ 18 ათას ბენეფიციარს, რომელთაც კანონით არ ეკუთვნოდათ დახმარება, 2012 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული აქვთ 1 167 356 ლარი.

ქინქლაძის უწყებამ მსგავსი შემოწმება მიმდინარე წლის აგვისტოშიც ჩაატარა. რის შედეგადაც დახმარება შეუწყდა 1 300 ოჯახს, რითაც ბიუჯეტიდან დამატებით დაიზოგა 304 274 ლარი.

სააგენტოში განმარტავენ, თუ რას ითვალისწინებს კანონი საარსებო შემოწმების თაობაზე. — თუ დადგინდა, რომ ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 200 ლარზე მეტია და ეს ხდება 3 თვის განმავლობაში, დახმარება აღარ გაიცემა — იქვე იმასაც აზუსტებენ, რომ 3 თვე ის ვადაა, რომელიც ოჯახს შეიძლება მაღალი შემოსავალი დროებით ჰქონოდა.

სააგენტოს უფროსის განცხადებით, წინა წლებში მსგავსი უწყებათა ერთობლივი კომპლექსური მუშაობა არ დაფიქსირებულა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სპეციალისტი თუ ექსპერტი მთავრობას მოუწოდებდა ამგვარი ღონისძიებებისაკენ, ერთობლივი საქმიანობა 2013 წლიდან დაიწყო.

რაში სჭირდებათ მდიდართა გაჭირვებულთა სიაში შეყვანა? როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ ყოველი არჩევნების წინ უმწეოთა რიცხვი რამდენიმე ათასით იზრდებოდა, რასაც იმით ხსნიან, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ნებისმიერი დონის არჩევნების წინ, ჭირდებოდა ხმები. ამის დასამტკიცებლად მათ მოჰყავთ სტატისტიკა, ისინი ეყრდნობიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებს, სადაც 18 ათასი დახმარება შეჩერებული თუ ჩამორთმეული ბენეფიციარიდან 15 ათასს აღუდგა შემწეობის გაცემა. ეს კი იმას ნიშნავს, ასკვნიან ექსპერტები, რომ 13 ათასიდან შემწეობის მისაღებად უმრავლესობას ქულები შეგნებულად არჩევნების წინ მიენიჭა.

ექსპერტებისათვის სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებში ზვიად კანდელაკისათვის გაუგებარია შეძლებულ მეწარმეთა ამ სიებში მოხვედრა. რატომ იღებდნენ ისინი სახელმწიფოსაგან დახმარებას — ეს იყო პოლიტიკური ნიშნით მიღებული გადაწყვეტილება, თუ იმ დროს როდესაც გაჭირვებულთა სიებში მოხვდნენ, მართლაც უჭირდათ, კითხვას სვამს იგი.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელი ნოე ქინქლაძე კი აცხადებს, რომ აღნიშნული დარღვევების შესახებ მასალები შესაბამის ორგანოებს უკვე გადაეცათ.

ზაზა ბილიხოძე

თენგიზ კალანდაძე, ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, ოთარ ჭითანავა, პეტრე ბერაია დიდ მწუხარებას გამოთქვამენ ღირსეული მამულიშვილის

გერმანე ფაცაციას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ კრიმინალი

ცრუ შეტყობინების ორივე ავტორი დაკავებულია

ტელეკომპანიებში — „რუსთავი 2“- სა და „იმედში“ ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობის შესახებ ცრუ შეტყობინების ორივე ავტორი დაკავებულია.

გამოძიება ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინების ფაქტზე, სსსკ-ს 331-ე მუხლის 1 ნაწილით მიმდინარეობს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში 12 სექტემბერს, 13:35 საათზე მორიგი შეტყობინება შევიდა. მოქალაქემ ცენტრის ოპერატორს თბილისში, ლუბლიანას ქ. 35-ში ტელეკომპანია „იმედის“ შენობაში ნაღმის არსებობის შესახებ აცნობა. შეტყობინებიდან რამდენიმე წუთში ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები, კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები, გამნაღმველები და კინოლოგები გამოცხადდნენ. სამართალდამცველებმა უსაფრთხოების მიზნით შენობიდან იქ მყოფი ადამიანები გამოიყვანეს, მიმდებარე ტერიტორია ამკრძალავი ლენტით შემოსაზღვრეს და პერიმეტრი დაიცვეს. გამნაღმველების მუშაობით დადგინდა, რომ გამოძახება ცრუ იყო — შენობაში ნაღმი არ აღმოჩნდა. სამართალდამცველებმა ცრუ შეტყობინების ავტორი დარეკვიდან რამდენიმე საათში დააკავეს“, — ნათქვამია შსს-ის განცხადებაში.

◎ ფიქრები აფხაზეთზე

ეს ჩვენი მიწაა და აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ!

ოცი წელიწადია, ოცი დაღლილი და დაქანცული წელიწადი, რაც მდინარე ენგურის საბედისწერო ზოლი გვაშორებს ჩვენს ისტორიულ სამშობლოს აფხაზეთს. აფხაზეთი საქართველოს ორგანული ნაწილია. აფხაზეთის მიწამ დღემდე შემოინახა უტყუარი ქართული კვალი, თუმცა მისი ამოშანთვისთვის გულმოდგინედ იღვწიან მავანნი, მაგრამ ამაოდ... ჭეშმარიტებას ღაღადებენ ძველი ბრინჯაოს ხანის აკლდამები, ნაქალაქარები, ციხეები, ტაძრები.

ოცი წელი გადის 27 სექტემბრის იმ გაუგონარი ანგარიშსწორებიდან, რომელიც რუსეთის იმპერიამ XX საუკუნის მიწურულს მოუწყო დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ, ახალბედა სახელმწიფოს. უღმერთობა იყო ქართველების ხოცვა-ჟლეტა, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი გაეყარათ უძველესი მიწიდან, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული კულტურის დიდი კერიდან.

ბარბაროსობა ზეიმობდა მაშინ აფხაზეთში, გაძევებულ, აწიოკებულ ქართველთა სახლს ეპატრონებოდნენ, თან გზა და გზა ცეცხლს აძლევდნენ ყველაფერს ქართულს, მგლის ბილიკებით შემოპარული ათასი ჯურის მუხანათები. მათ „არ იცოდნენ“, ვისი იყო ეს მიწა, არც არძინბამ იცოდა, როდის მოვიდნენ ქართველები აფხაზეთში, მაგრამ „იცოდა“, რომ აქ მათ აფსუები დახვედრიან.

მოკლედ, სტრაბონის გარდა არავინ უწყოდა, ვისი იყო ეს მიწა-წყალი, ქრისტიანული ეკლესიები.

საბოლოოდ მივიღეთ ის, რომ 300 ათასმა ქართველმა დაკარგა სამშობლო სამშობლოში. ოცი წლის განმავლობაში, ბევრი ჯახირის მიუხედავად, საქართველომ ვერ მოახერხა მომხდარის სრულად გაანალიზება. აფხაზეთის პრობლემა მაღალ ტრიბუნაზე განიხილებოდა ცალმხრივად, ტენდენციურად, რამაც მოიტანა ის შედეგი, რაც გვაქვს. ოცი წლის მანძილზე მომხდარი ფაქტების გათვალისწინებით, ხშირად საკუთარი თავისთვის დაგვისვამს კითხვა, რა არის აფხაზეთი საქართველოსთვის? ტკივილი? გასაჭირი? ჭრილობა? აფხაზეთი აღმოჩნდა ის საკრალური ადგილი, სადაც საქართველოს ბედი წყდება.

რატომ არ აღინიშნება 27 სექტემბერი ეროვნული ტრაგედიის დღედ? ეს კითხვაც იბადება არცთუ უსამართლოდ. 1993 წლის 27 სექტემბერს მთელს აფხაზეთის მიწაზე აფხაზი სეპარატისტების ნიღაბს ამოფარებულმა „დემოკრატიისათვის“ მებრძოლმა რუსეთმა გაოგნებული მსოფლიოს თვალწინ აამუშავა სასაკლაო, რასაც ათასობით ქართველის სიცოცხლე შეეწირა. სხვას რას შეიძლება დაერქვას კიდევ, ეროვნული ტრაგედია?

მეოცედ ვხვდებით 27 სექტემბერს უაფხაზეთოდ. არც ერთხელ არ მახსოვს, იმ სიმძაფრით გაგვეპროტესტებინოს ეს ეროვნული ტრაგედია, რასაც სინამდვილეში იმსახურებს. მხოლოდ გმირთა მოედანზე მემორიალის გვირგვინებით შემკობით ვერ მოვიხდით იმ ვალს, რაც, სამწუხაროდ, უპირველეს ყოვლისა, სამშობლოსა და დაღუპული ადამიანების წინაშე გვაქვს, ვერასოდეს გავუსწორებთ თვალს მომავალ თაობას, თუ ეს ტვირთი მათი საზიდი შეიქმნა, და თავს დატეხილ ათას უბედურებას და სოციალურ პრობლემებში გახვეული დევნილობა ვერ ახერხებს მთავარს — კონსოლიდაციას. გათითოკაცებულ ერსაც, როგორც ჩანს, ამის გარდა, უფრო სხვა საზრუნავი და საკამათო აქვს.

კარს მომდგარია საპრეზიდენტო არჩევნები, სამწუხაროდ, ვერც ერთი კანდიდატისგან, ჯერჯერობით მაინც, არ მოგვისმენია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მკაფიოდ გაწერილი გეგმა. საინტერესოა, როგორ აპირებენ ისინი, მიმართონ მათ ხელში არსებული პოტენციალი, როგორ აპირებენ ამ უმთავრესი პრობლემის გადაჭრას. ვაითუ, დროთა მდინარების სუსხმა დააზრო დაბრუნების სურვილი? ვაითუ, აფხაზეთმა გაიზიაროს ტაო-კლარჯეთის ბედი? ღმერთმა არ ქნას, ეს მხოლოდ ფიქრებია, არსებული რეალობიდან გამომდინარე.

ძნელი ყოფილა დამარცხებულის სინდრომით ცხოვრება, თუმცა არსებობს ერთი ძლიერი ძარღვი, რომელიც ყველაფერ ამას გაუძლებს, გადაიტანს და ჩვენს გენეტიკურ ცხოვრებაში ჩატოვებს, ეს ჩვენი მიწაა და აუცილებლად უნდა დავიბრუნოთ!

ნატო ხაფთანი

◎ ფრაზები

სხვათაგან თქმული...

მიუსაფარ აზრთა სტრიპტიზი

● თუ ცხოვრებაში კმაყოფილებას ვერ ნახულობ, რაღაც აზრი მაინც უნდა დაინახო.

● ადამიანი წლებთან ერთად ყველაფერს კარგავს: სინორჩეს, სილამაზეს, ჯანმრთელობას, პატივმოყვარეობის მოძალებას და მხოლოდ ერთადერთი — სისულელე არასოდეს არ ტოვებს ადამიანებს.

● ადამიანები ხშირად ამაყობენ თავიანთი სინდის-ნამუსის სიწმინდით მხოლოდ იმიტომ, რომ მოკლე მახსოვრობა აქვთ.

● განსხვავება აქლემსა და ადამიანს შორის: აქლემს შეუძლია, რომ მთელი კვირა იმუშაოს და არ დალიოს, ხოლო ადამიანს —მთელი კვირა სვას და არ იმუშაოს.

● არ არის ისეთი ლაბირინთი, რომლის შესასვლელიც ვერ ვიპოვოთ.

● ცოლქმრობა ისეთი შეთანხმებაა, რომლის პირობებიც ყოველდღიურად გადაისინჯება და დამტკიცება ხდება თავიდან.

● ჩვენ მონები არა ვართ, მაგრამ ამას ცოტა ვინმე თუ ხვდება.

● ბევრი ადამიანი, ვინც მაგრად დგას ფეხზე, ამას იმით აღწევს, რომ სხვას აზის კისერზე.

● ერთმა კუთხეში მიმწყვდეულმა აღმოაჩინა, რომ ეს ბერმუდის სამკუთხედის კუთხე იყო.

● ნეტავი ვინ განუსაზღვრავს სამუშაო ფრონტს უხილავი ფრონტის მებრძოლთ?

● ის ისე დაბლა დაეცა, რომ თვით შინაგანმა ხმამაც კი უარი უთხრა დალაპარაკებაზე.

● როცა არცრა სახელმწიფო საიდუმლოება აღარ იქნება, კომერციულ საიდუმლოებათა ზღვა გაჩნდება.

● თუ ისტორიის ტრაგედიად განვითარებას შეესწარი, საშინელებაა, ხოლო ისტორიის ფარსად განვითარების შესწრება საზიზღრობაა.

● როცა დიდი ადამიანების ნაშიერთ უყურებ, ხვდები, რომ ბუნება ისვენებს. ხოლო როცა სხვებს უყურებ, ეჭვობ, რომ გონება საერთოდ ურევია იმათ გაჩენაში.

● პოლიტიკურ სამზარეულოში ყველა წვნიანი საჭმლის თავზე მოგდებული ცხიმით არის დაკავებული.

● ყველას უნდა, რომ იცოდეს სიმართლე სხვებზე და არა თავის თავზე...

● სიღარიბის ზღვარი რამესთან იკვეთება თუ ყველაფრის პარალელურია?



● ხელს თუ უცხო ქალის გულზე დაიდებ, დაუვიწყარ ურჟოლას შეიგრძნობ.

● ბედნიერება ფული არ არის, ბანკში ვერ ჩადებ.

● „შავი კვადრატი“ ერთადერთი ნათელი ლაქაა მალევიჩის შემოქმედებაში.

● თავისთავად ოპტიმიზმი იშვიათად მოდის, ხშირად ის ოპტიმისტებს მოაქვთ.

● ზოგიერთების ბედასლი თავი მოსვენებას უკარგავს სხვათა ფეხებს, ფიქრობდა სამუშაოდ მიმავალი ჯალათი.

● თუ უფრო ღრმად შედიხარ ტყეში, შეშა მეტია, მაგრამ გამოტანის ნაკლები საშუალებაა.

● ჩვენი სამხედროები მზად არიან ნებისმიერ მტერთან შესახვედრად: იმათ მუდამ თან დააქვთ თითო ყუთი არაყი, — ამბობს რუსი გენერალი.

● ახალი ამბები: „გუშინ ფიჭვნარში შემთხვევითმა გამვლელებმა აღმოაჩინეს ჯერ კიდევ შარშანწინ დაკარგული ორი მონადირე. მონადირეებმა სთხოვეს გამვლელებს, ამ ამბავს ჩვენს ცოლებს ნუ შეატყობინებთო“.

● — მითხარი, თუ კაცი ხარ, რომელი საათია?
— ზუსტად ხუთია, მაგრამ შენ თუ ხელს არ გაძლევს, კიდევ სხვას ვისმე ჰკითხეთ.

● არიან ისეთი ცხვრები, რომელთა წინ კარების შეცვლა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე იმის დამტკიცება, რომ ისინი ახლები არიან.

შეკრიბა და გაასგრიპგიმა
გურამ წიკლაურმა

რეკლამა „საქართველოს
299-62-77; 599 32-85-76. რესპუბლიკაში“

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთებთ ვარსებობთ

„ოცნების“ ხალხი ბურჯანაძესთან მასობრივად გადადის

არჩევნების წინ „დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის ნინო ბურჯანაძის გვერდით სულ უფრო და უფრო მეტი „ოცნების“ ყოფილი წევრი გვხვდება.

აგვისტოდან მოყოლებული, დღემდე „;ქართული ოცნების“ რიგებიდან ბურჯანაძის პარტიაში გადაბარგება გრძელდება.

„ოცნებაში“ ამბობენ, რომ ბურჯანაძის პარტიაში გადასულები მოისყიდეს, რაზეც „დემოკრატიულ მოძრაობაში“ პასუხობენ, ნუთუ „ოცნების“ წევრები იმას ამბობენ, რომ ნინო ბურჯანაძეს ბიძინა ივანიშვილზე მეტი ფული აქვსო.

„რეზონანსი“

30 წელიწადში საქართველოში, სავარაუდოდ, 600-მდე ნასოფლარი იძნება

მსოფლიოში უკვე ძალიან ცოტა სახელმწიფო დარჩა ისეთი, სადაც სოფლის მოსახლეობა აჭარბებს ქალაქისას. მე-20 საუკუნის ბოლოსთვის საქართველოში ქალაქის მოსახლეობა 57 პროცენტზე მეტს შეადგენდა, რაც ძირითადად შიდა მიგრაციის ხარჯზე ხდებოდა. 90-იან წლებში შეიმჩნეოდა ქალაქიდან მოსახლეობის სოფელში გადასახლების სუსტი ტენდენცია, რომელმაც მასობრივი სახე ვერ მიიღო, რადგან ქართული სოფელი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნებს. საქართველოს 59 მუნიციპალიტეტიდან მოსახლეობის ბუნებრივი კლება აღირიცხება 36 მუნიციპალურ ერთეულში. ქართველი ერი დაბერებულ ერთა რიგს მიეკუთვნება, რადგან ასაკში შესულთა ხვედრითი წილი განუხრელად იზრდება, რაც გამოწვეულია შობადობის დაბალი მაჩვენებლით. მთიანი რეგიონები, სადაც არ ხორციელდება დემოგრაფიული პოლიტიკის გაუმჯობესების ღონისძიებები, თითქმის მოხუცების ამარა დარჩა. რეპროდუქციული ასაკის ადამიანები ტოვებენ მთის სოფლებს და ქალაქებს, მათი ძირითადი მიგრაციის მარშრუტი განისაზღვრება საქართველოს დიდი ქალაქებისკენ, ან ეკონომიურად განვითარებული საზღვარგარეთისკენ.

„ახალი თაობა“

ქუთაისის ციხეში ხანგრძლივი პაემნების სერვისი ამოქმედდა

სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა ქუთაისის სასჯელაღსრულების №2 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილი სასტუმროს ტიპის შენობა გახსნა და ხანგრძლივ პაემანზე გათვლილი, კეთილმოწყობილი რვა ოთახი დაათვალიერა. სამინისტროს ინფორმაციით, პაემნებისთვის განკუთვნილ ფართში ყველა პირობაა შექმნილი 24 საათის კომფორტულად გასატარებლად. გარემონტებულ ოთახებში შეტანილია შესაბამისი ავეჯი და ტექნიკა. მსჯავრდებულს უფლება აქვს, ერთი წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი. ასევე 2 — წახალისების სახით.

„ალია“

◎ ფოტოფაქტი

კოსტიუმი ზვიგენების წინაალმდეგ

ავსტრალიაში გამოიგონეს ორი სპეციალური კოსტიუმი ზვიგენებთან „დამალობანას“ სათამაშოდ. ჭრელი მკვეთრი ფერი აშინებს მტაცებლებს, კამუფლაჟი კი ახდენს შენიღბვას. თუმცა ბევრი ზღვისთვის ეს კოსტიუმები არ გამოდგება. ჯერ ერთი, ბევრგან ზვიგენები ცოტაა. მეორეც, ბევრგან არის ბუნებრივი შენიღბვა — მათი დაბინძურება. აქ ღორჯოსაც ვერ დაინახავ ხუთ სანტიმეტრში.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ორი ტიპი ზღვაზე ხვდება ერთმანეთს. ერთი ეკითხება მეორეს:

— ვასია, რა არის შიში?

— წარმოიდგინე პლაჟზე წევხარ სიდედრთან ერთად, უცებ მოვარდება ტალღა და შენს სიდედრს გაიტაცებს.

— აბა, საშინელება რაღაა?

— საშინელებაა, როცა მეორე ტალღა უკან დაგიბრუნებს.

* * *

პატარა გოგონა ზოოპარკში დედას ეკითხება:

— დედი, დედი რატომაა ეს ჯიხვი რომ სევდიანი თვალებით გაჰყურებს ჰორიზონტს?

— ეჰ, შვილო, გინახავს როდესმე გაღიმებული მამაშენი? რას იზამ, ჯიხვებს ერთნაირად რთული ცხოვრება აქვთ.

* * *

მეორე მსოფლიო ომია. მაიორი იბარებს ლეიტენანტს:

— შეხედე, ყველა თავდაუზოგავად იბრძვის, სომხები კი სხედან სანგარში და სიგარეტს აბოლებენ.

— ისინი, თუ არ დააინტერესე, თითსაც არ გაანძრევენ. შესთავაზე რამე...

ლეიტენანტი ჩადის სანგარში სომხებთან და გარიგებას სთავაზობს:

— თითო მოკლულ გერმანელში ათ მანეთს მოგცემთ.

მეორე დღეს სომხებს მოაქვთ ერთი ვაგონი სავსე დახოცილი გერმანელებით. ლეიტენანტი ფულს აძლევს. მესამე დღეს — ორი ვაგონი, ლეიტენანტი კვლავ იხდის და ასე გრძელდება მანამ, სანამ ფული არ გამოელევა.

— ბიჭებო, რთული დროა, ომია, იქნებ ხუთ მანეთზე შევთანხმდეთ? — სთავაზობს ლეიტენანტი.

— ძმაო, იცი რას გეტყვით, ჩვენ თვითონ თითო მოკლულ გერმანელს პარტიზანებისგან შვიდ მანეთად ვყიდულობთ. წაგებაში ხომ არ დავრჩებით.

* * *

სასოწარკვეთილი ავადმყოფი ექიმს:

— ექიმო, ვიცოცხლებ?

— ალბათ თქვენ გაინტერესებთ არსებობს თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ?

* * *

— **ნუთუ** არ იცი როგორ უნდა მომძებნო? ამოხვალ „ავლაბრის“ მეტროში, აუყვები გზას მარცხნივ, ჩასახვევში შეგხვდება იტალიური ეზო სამსართულიანი სახლით, შედიხარ ეზოში და ყვირიხარ — სეროჟ!!!, ყველა ფანჯარა იღება ერთის გარდა. იმ ბინაში ვცხოვრობ მე და მქვია ხაჩიკა.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24